ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 25 ოქტომბერი, 2023

№210 (9246)

ფასი: 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აგარის პოლიციის უფროსს უაქციზო სიგარეტი, სავარაუდოდ, ოკუპირებული ტერიტორიიდან შემოჰქონდა

გვ.3



# „ლევან ხაბეიშვილს მალე შეცვლიან!“



გვ.2

ბაჩო დოლიძე: „ლევან ხაბეიშვილს დღეს თავისი პრობლემები აქვს და როგორ გაუმკლავდება ამ ყველაფერს, ყველა ერთად შევხედავთ. ნაციონალური მოძრაობა ბევრი მიზეზების გამო დღეს ანგარიშგასაწევი ძალა აღარაა.“



## „ნაცმოძრაობა პარკეტის პოლიტიკოსების პარტიად იქცა“



ვახტანგ ძაბირაძე: „2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ერთპარტიული მმართველობა უნდა დაასრულოს“

## „სალომე ზურაბიშვილი თუ პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, სერიოზული ოპოზიციური ფიგურა იქნება“



გვ.3

სალომე ზურაბიშვილი რამდენიმე დღეში საგანგებო განცხადებას გააკეთებს გვ.2

## ცხინვალელი მეწარმეები რეგიონის რუსეთის ფედერაციის მდგომარეობაში ჩაყენებას მოითხოვენ

რა გამოწვევების წინაშე დააყენა ოკუპანტმა რუსეთმა საქართველოს ოკუპირებული რეგიონები?



გვ.4



ლაზარეს საქმის ცრუ მოწმე პოლიციელები, მოსამართლე, „იმედის“ ჟურნალისტი და დეპუტატები — MONA.GE-ს მეორე სერია

გვ.2

*ისტორიები*

## კაცი, რომელმაც „კოზა ნოსტრა“ შექმნა



გვ.5

*მედიცინა*

კანის დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით



**3** დაპირისპირება ქართველებსა და პოლონელებს შორის — დაკავებულია საქართველოს 3 მოქალაქე

**4** ვის შეეხება სახელმწიფო მინის უკანონო მითვისებაზე ამნისტია

**3** ვაზისუბანში აფეთქების შედეგად დაშავებული ერთ-ერთი პირი კლინიკაში გარდაიცვალა

**6** რობერტ გეიტსმა განგაშის ზარებს შემოჰკრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ლევან ხაბეიშვილს მალე შეცვლიან!“

ნონა ცაბაძე



## ბაჩო დოლიძე: „ნაცმოძრაობა პარკეტის პოლიტიკოსების პარტიად იქცა“



„ახალი თაობის“ კითხვებს ნაცმოძრაობის წევრი ბაჩო დოლიძე პასუხობს.

***– ბაჩო, რა ხდება პარტია ნაციონალურ მოძრაობაში? ვისმენთ შეფასებებს, რომ საკმაოდ დაიძაბა ვითარება. მელიას განცხადებამაც თითქოს კიდევ უფრო განამტკიცა ეს აზრი. სადაც მერაბიშვილი და კეზერაშვილია, იქ ჩემი ადგილი არ არისო. რა ხდება, რის თქმა შეგიძლიათ?***

– ახალი არაფერი. ჩვენი მთავარი ამოცანა რა არის და რაშია მთავარი სხვაობა? ის, ვინ როგორ ვხედავთ არსებული რეჟიმის დამარცხების გზებს. აი, აქ არის ფუნდამენტური სხვაობა. ვიღაც ხედავს, რომ ამ რეჟიმის დამარცხება შესაძლებელია წინა ხაზზე მერაბიშვილ-კეზერაშვილით, ჩვენ ამის არ გვჯერა. გვჯერა იმის, რომ ჩვენ შეგვიძლია გაცილებით მეტი ადამიანის მობილიზება, თუ სწორი ხაზი იქნება გავლებული. მთავარი რა არის? ალტერნატივა თუ იქნება ნაჩვენები. ისეთი ალტერნატივა, რომელსაც არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი საზოგადოებაც დაიჯერებს. ეს არის მთავარი მოცემულობა. დანარჩენი ეს არის რაღაცა პოლიტიკური კულუარული მოთქმა-მოთქმები, რაღაც არარსებულ ბორდზე საუბარი. ფუნქციონალურადაც კი აბსოლუტურად ნ?ლი იქნება მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი. ასევე, ის ადამიანები, ვინც ამ ბორდში შევლენ, მათი ფუნქციაც, რა თქმა უნდა, ნულოვანი იქნება იმ პირობებში, რა პირობებიც არის დღეს შექმნილი ნაციონალურ მოძრაობაში.

***– ეს იდეა კეზერაშვილთან შეხვედრის შემდეგ გაუჩნდათ პარტიის ლიდერებს?***

– რატომ იყვნენ, სწორედ ამაშია საქმე. როდესაც გიწევს სიარული დირექტივებზე და შენ თვითონ გადაწყვეტილებას ვერ იღებ საკუთარ პარტიაში, მიუხედავად იმისა, რომ გქვია თავმჯდომარე, აი, ეს არის მთავარი პრობლემა! რაც შეეხება ამ მითიურ ბორდს, ეს არის მცდელობა რაღაც ფასადის შექმნის, რომ მოდით, ახლა, ადამიანები შემოვიკრიბოთ, დავარქვათ ბორდი, რომელსაც არანაირი ფუნქცია არ ექნება, მაგრამ იტყვიან, აი, ხომ მოვახერხეთ ერთობა. ფასადური ერთობა კი არაფრის მომტანი არის. აქ ხომ არ არის საუბარი იმაზე, რა სახელი და გვარი მივა დღეს პარტიაში. საუბარია იმაზე, რა სისტემას ვუშვებთ და რა სტანდარტს ვგეგმავთ პარტიაში?! ჩვენი მთავარი ამოცანა რა იყო ამდენი წლის განმავლობაში? რომ გვეჩვენებინა საკმაოდ დიდი სხვაობა ჩვენსა და მმართველ გუნდს შორის. ამ შემთხვევაში მართვის მოდელს ვგულისხმობ. სამწუხაროდ, არა თუ სხვაობა, მთლიანად მივამსგავსეთ ერთმანეთს მმართველობის მოდელი. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, პარტიაში დიდი პრობლემაა, რომელსაც გადაწყვეტა სჭირდება. პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი საზრუნავი არის ის შეხვედრები, რომელიც დაგეგმილი გვაქვს. ახლა ჩვენ გვექნება ოთხი შეხვედრა – იმერეთში, სამეგრელოში, აჭარასა და კახეთში და ამის შემდგომ უკვე მივიღებთ ყველანი გადაწყვეტილებას, როგორ ვაგრძელებთ პარტიულ ცხოვრებას.

***– ნიკა მელიას განცხადება ბევრმა ასე გაიგო, რომ მას გადაწყვეტილება მიღებული აქვს და უნდა წამოვიდეს პარტიიდან. ან კეზერაშვილ-მერაბიშვილი, ან მელია და მისი გუნდი – ასე არ დგას საკითხი?***

– არა მგონია, რომ ეს ახალი ყოფილიყო. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია იმაზე, რომ ამ პირობებში საკუთარ თავს ვერ ვხედავდით. ნიკას ამით ახალი არაფერი უთქვამს. პარტიაში პრობლემები, რა თქმა უნდა, არის და პირადად ჩემი აზრია, რომ დღეს ამ პრობლემის მოგვარების თეორიული შანსიც არ არის. შესაბამისად, მუდმივად რომ არ გაგრძელდებოდა ეს ყველაფერი, ისედაც ყველამ კარგად იცოდა.

***– ნიკა მელიას თავმჯდომარეობის დროსაც ხომ იყო ვანო მერაბიშვილი პარტიაში? მაშინ რატომ არ არსებობდა ასეთი დაპირისპირება?***

– მაშინ აბსოლუტურად ყველა ადამიანს ჰქონდა თავისი ფუნქცია. შესაბამისად, ის, რომ ვინმე არ ყოფილიყო საჯარო პოლიტიკაში და კულისებიდან ემართა პარტია, ასეთი რამ არ მოხდებოდა. პარტიას მართავდა ის გუნდი, რომელიც წინა ფლანგზე იყო და რომელიც მუდმივად ჩანდა. პოლიტიკურად აქტიური ადამიანები მართავდნენ და არა კულუარებში ჩამჯდარი ადამიანები – აი, ეს არის მთავარი სხვაობა მაშინდელ პერიოდსა და დღევანდელობას შორის.

***– თქვენი ოპონენტებისგან ვისმენთ შეფასებებს, რომ უკვე რამდენი ხანია ეს დაპირისპირება არსებობს და თუ მიდის მელია და მისი გუნდი, რით ვერ წავიდნენო.***

– პირველ რიგში, არავის საქმე არ არის, ჩვენ რა გადაწყვეტილებას მივიღებთ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ვინაიდან მენეჯმენტში არის ის გუნდი, რომელიც დღეს არის და ამიტომ ავტომატურად ვიღაცამ უნდა დატოვოს პარტია, ეს აბსოლუტურად მცდარი მოლოდინია. წინა მენეჯმენტის პერიოდში არავინ წასულა პარტიიდან და არც ამის წინაპირობა ყოფილა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მისი საკუთრებაა დღეს ეს პარტია, შევახსენებ, ურთულესი წლების განმავლობაში, 2012-2013 წლებში, როდესაც ჩვენ ამ პარტიაში ვიყავით, მაშინ ზოგ-ზოგიერთები იმალებოდნენ! თუ ვიღაცას ნერვები არ ჰყოფნის, ეს მისი პრობლემაა, თუ რა გადაწყვეტილებას მივიღებთ, ეს, პირველ რიგში, ჩვენზეა დამოკიდებული.

***– პარტიის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა რამდენად თამაშობს „ქართული ოცნების“ თამაშს? სწორედ ამ ბრალდებებს უყენებენ ხაბეიშვილს.***

– მოდით, სამართლიანები ვიყოთ და ვიტყვი, რომ ლევანი ამ შემთხვევაში ინსტრუმენტია, რომლის მოცილებას ძალიან მალე თვითონ ის ადამიანები ეცდებიან, ვინც დღეს მას მართავს და ვინც მოიყვანა ხაბეიშვილი. ასე რომ, ლევან ხაბეიშვილს დღეს თავისი პრობლემები აქვს და როგორ გაუმკლავდება ამ ყველაფერს, ყველა ერთად შევხედავთ. დღეს ანგარიშგასაწევი ძალა აღარაა ნაციონალური მოძრაობა, ბევრი მიზეზების გამო.

ერთი წელია დარჩენილი არჩევნებამდე, ურთულესი პერიოდი გველის. ეს ის არჩევნებია, სადაც ფაქტიურად 24-საათიან რეჟიმში, საზოგადოებასთან და მოქალაქეებთან შეხვედრას უნდა ვატარებდეთ და რაღაცნაირად პარტია იქცა პარკეტის პოლიტიკოსებად, ჩემდა სამწუხაროდ. მათ ჰგონიათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტის ოთახებიდან იქნება შესაძლებელი რეჟიმის ცვლილება. ვინ აქტიურობს და ვის აქვს ახლო კონტაქტი ხალხთან, ამასაც ყველა ხედავს.

***– თავადვე ახსენეთ და სხვათა შორის ბევრს საუბრობენ კულუარულად, რომ მალე აუცილებლად შეცვლიან ხაბეიშვილს. თქვენც გაქვთ ინფორმაცია, რომ მას გაშვებას უპირებენ?***

– კი და ეს სწორედ იმ წრიდან მოდის, ვინც ხაბეიშვილი მოიყვანა, ისევ თვითონ ავრცელებენ ამ ინფორმაციას. მე სწორედ მაგიტომ ვამბობ, რომ საკმაოდ რთული პერიოდი მოდის ლევან ხაბეიშვილისათვის. რა თქმა უნდა, მცდელობას არ დააკლებენ, რომ ის იყოს შეცვლილი. მან უკვე გააკეთა თავის გასაკეთებელი, შესაბამისად, ახლა იზრუნებენ იმაზე, რომ ის იყოს არჩევნებამდე ჩანაცვლებული.

***– არიან უკვე კანდიდატები, ვისითაც შეიძლება ჩაანაცვლონ?***

– რამდენიც გინდათ.

***– თქვენ გაქვთ კონკრეტული ინფორმაცია, ვინ შეიძლება იყოს ხაბეიშვილის შემცვლელი?***

– დაველოდოთ მოვლენების განვითარებას... ტყუილად ხომ არ სახელდებოდა ბორდის წევრები. ლევანი აუცილებლად იქნება ჩანაცვლებული. თვითონ რას იზამს ხაბეიშვილი იმისთვის, რომ ეს ასე არ მოხდეს, არ ვიცი, გამოჩნდება. ამ შემთხვევაში მე მართლა სოლიდარული ვარ ლევანის მიმართ, არ შეიძლება ადამიანებთან ასეთი მოქცევა. თუმცაღა, თვითონვე მოაწერა ხელი თამაშის ამ წესს.

***– შეიძლება ითქვას, გამოიყენეს ხაბეიშვილი და ახლა უშვებენ?***

– რა თქმა უნდა და ეს თვითონაც ძალიან კარგად იცის. ჩემზე კარგად თავად იცის ეს ყველაფერი.

# სალომე ზურაბიშვილი რამდენიმე დღეში საგანგებო განცხადებას გააკეთებს



სალომე ზურაბიშვილი საგანგებო განცხადების გასაკეთებლად ემზადება, ამის შესახებ პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ოპოზიციონერმა დეპუტატებმა განაცხადეს.

**ხატია დეკანოიძე:**

– საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია, ამ წუთას, ჩვენ რა საუბარიც გვქონდა, იყო ძალიან ღია და გულწრფელი. მან თქვა, რომ კონკრეტულად ყველა ამ კითხვას პასუხი გაეცემა რამდენიმე დღეში, როდესაც ის საჯარო განცხადებას გააკეთებს.

# „ქალბატონო პრეზიდენტო, ვინ ხართ თქვენ?“ — დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მომწერის ღია წერილი სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო პრეზიდენტო, ვინ ხართ თქვენ? – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მომწერი, 83 წლის ავთანდილ იმნაძე მეხუთე პრეზიდენტს ღია წერილით მიმართავს.

– როცა საკუთარ თავთან მარტო დარჩებით, ჰკითხეთ თქვენს თავს, ვინ ხართ ასეთ შემთხვევაში თქვენ? – ვკითხულობთ ვრცელ წერილში.

საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმარი აღნიშნავს, რომ „ვივა-მედის“ ციხეში მიხეილ სააკაშვილს კლავენ ნელი სიკვდილით.

– ქალბატონო პრეზიდენტო!

მოგმართავთ საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე, წარსულში დისიდენტი, საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმარი. საქართველოს პარლამენტის (უზენაესი საბჭოს) ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მომწერი...

მინდა, მოგიყვეთ ორი ამბავი. ასეთ ამბავს გენიოსი მწერალი, დოსტოევსკი თავის ერთ-ერთ რომანში „ანეკდოტს“ უწოდებს.

მაშ ასე, „ანეკდოტი“ პირველი – შეთხზული, გამოგონილი ამ ანეკდოტის მთავარი პერსონაჟი ვარ მე, ავთო იმნაძე, მაგრამ არა დღევანდელი, 83 წლის მოხუცი, არამედ 28 წლის ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე სპორტსმენი, მოცურავე, წყალბურთელი.

ვზივარ ადიდებული მტკვრის პირას, მცხეთასთან ახლოს, არმაზის მიდამოებთან და შევცქერი ვეებერთელა ტალღებს. მოულოდნელად ვხედავ, მტკვარს მოჰყავს კაცი, რომელიც განწირული ხმით შველას ითხოვს. ვაკვირდები და შევიცნობ კაცს, რომელმაც 12 თუ 15 წლის წინათ მწარედ მაწყენინა და დღემდე არ გამნელებია ეს წყენა. გავხედავ მიდამოს, ახლო-მახლო ადამიანის ჭაჭანება არ არის. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც განწირული კაცის გადარჩენა ძალუძს, ვარ მე, მაგრამ...

თვალს ვაყოლებ განწირულ კაცს, ვდგები, მივდივარ იქვე მახლობლად გაჩერებულ მანქანასთან, ვჯდები მანქანაში და... ვაგრძელებ გზას.

ვსვამ კითხვას: ვინ ვარ ასეთ შემთხვევაში მე? პასუხს არ გთხოვთ, კითხვა რიტორიკულია.

„ანეკდოტი“ მეორე – რეალური, ნამდვილი.

ამ ანეკდოტის მთავარი პერსონაჟი ხართ თქვენ, ქალბატონო პრეზიდენტო.

ქალაქ თბილისში, „ვივა-მედის“ ციხეში ზის კაცი, რომელსაც კლავენ ნელი სიკვდილით. არაფერს ვამბობ იმაზე, თუ ვინ არის ეს ადამიანი. ამ შემთხვევაში, არ აქვს ამას მნიშვნელობა, თუმცა, ეს ყველამ იცის.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ თქვენ ვერ იტანთ ამ კაცს, თუმცა... მთელს მსოფლიოში ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ამ სიცოცხლის გადარჩენა ძალუძს, ხართ თქვენ, ქალბატონო პრეზიდენტო, მაგრამ...

ვსვამ კითხვას: ვინ ხართ ასეთ შემთხვევაში თქვენ?... პასუხს არ გთხოვთ... გთხოვთ მხოლოდ იმას, რომ, როცა საკუთარ თავთან მარტო დარჩებით, ჰკითხეთ თქვენს თავს, ვინ ხართ ასეთ შემთხვევაში თქვენ? – წერს ავთანდილ იმნაძე.

# „საერთო გეგმები გააჩნია ნაცმოძრაობის წარმომადგენლებთან და რამდენიმე თვეში ყველაფერი კარგად გამოჩნდება“ — მამუკა მდინარაძე სალომე ზურაბიშვილზე



ნაცმოძრაობის პრეზიდენტი რას გააკეთებს, ეს არის ნაცმოძრაობის საქმე. აწი შეუძლია ბევრი ილაპარაკოს თავის ნაცმოძრაობასთან, რომლის პრეზედენტადაც დარჩა. ჩვენი მხრიდან მას ლეგიტიმაცია აღარ აქვს, – განუცხადა ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა მამუკა მდინარაძემ.

მისი თქმით, პრეზიდენტს საერთო გეგმები გააჩნია ნაცმოძრაობის წარმომადგენლებთან და რამდენიმე თვეში ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდება.

ნაცმოძრაობის პრეზიდენტი რას გააკეთებს, ეს არის ნაცმოძრაობის საქმე. აწი შეუძლია ბევრი ილაპარაკოს თავის ნაცმოძრაობასთან, რომლის პრეზედენტადაც დარჩა. ჩვენი მხრიდან მას ლეგიტიმაცია აღარ აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული საზოგადოების მიერ დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლებისგან არ აქვს ლეგიტიმაცია, ანუ, არ აქვს საზოგადოებისგან ლეგიტიმაცია. რჩება მხოლოდ ნაცმოძრაობის პრეზიდენტად, რომელმაც ის გადაარჩინა, რომ იმპიჩმენტი არ შემდგარიყო, შესაბამისად, მათთან ერთად სამომავლო გეგმები ექნება. მას საერთო გეგმები გააჩნია ნაცმოძრაობის წარმომადგენლებთან და რამდენიმე თვეში ეს ყველაფერი კარგად გამოჩნდება, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

# ლაზარეს საქმის ცრუ მოწმე პოლიციელები, მოსამართლე, „იმედის“ ჟურნალისტი და დეპუტატები — MONA.GE-ს მეორე სერია

მონების რეესტრს ახალი გვარები დაემატა. MONA.GE-ზე 13 პირი მოხვდა. ესენი არიან ლაზარე გრიგორიადისის საქმის ორი ცრუ მოწმე პოლიციელი – გიორგი მაისურაძე და რობერტ ბზიშვილი, ასევე მოსამართლე ნინო ნაჭყებია, რომელმაც ლაზარეს პატიმრობა შეუფარდა.

სიას დაემატა ცენზურის კანონის ინიციატორი დეპუტატები – ირმა ზავრადაშვილი, ისკო დასენი, ირაკლი კირცხალია, ანტონ ობოლაშვილი, ეკა სეფაშვილი, ბაჟან წაქაძე, დავით სონღულაშვილი;

ასევე, ჭორვილას აქციის დროს, ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლისთვის აჭარის სამმართველოს უფროსი დავით მაღრაძე. სიას დაემატა „იმედის“ ჟურნალისტი სანდრო გამსახურდიაც, რომელმაც პლატფორმის დამფუძნებლების ინფორმაციით, დასავლეთს

საქართველოში არეულობის მოწყობა დააბრალა.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

## აგარის პოლიციის უფროსს უაქციზო სიგარეტი, სავარაუდოდ, ოკუპირებული ტერიტორიიდან შემოჰქონდა



კონტრაბანდის ბრალდებით აგარის პოლიციის უფროსი, იოსებ გელაშვილი დააკავეს. შსს-ს მაღალჩინოსანს უაქციზო სიგარეტი, სავარაუდოდ, ოკუპირებული სამაჩაბლოს ტერიტორიიდან შემოჰქონდა და, მაღალი ალბათობით, უკანონო საქმიანობას ის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებთან ერთად ეწეოდა.

გელაშვილი აგარის პოლიციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბოლო 1 წლის განმავლობაში მუშაობდა. ის საკუთარ სახლში, სოფელ ქვენათკოცაში, სპეცოპერაციით დააკავეს.

გელაშვილი წინასწარი დაკავების იზოლატორშია გადაყვანილი. აგარის პოლიციაში მომხდარზე არ საუბრობენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია ამავე უწყების მაღალჩინოსანს იარაღის უკანონო შეძენა-შენახვასაც ედავება. ამოღებულია უაქციზო სიგარეტი, ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდები და ფული.

დანაშაული 8-წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცნობისთვის, გელაშვილის გვარი გასულ წელს სავარაუდო ძალადობის საქმეშიც ფიგურირებდა, რაზეც გამოძიებაც დაიწყო. არ არის გამორიცხული მას ახლა ბრალი დაუმძიმდეს.

## დაპირისპირება ქართველებსა და პოლონელებს შორის — დაკავებულია საქართველოს 3 მოქალაქე



21 სექტემბერს, გვიან ღამით, საქართველოს მოქალაქე პოლონეთში, ჩრზანოვში კლუბის წინ მყოფ ადამიანთა ჯგუფს შეეჯახა.

პოლონური გამოცემის ცნობით, შეჯახების შედეგად მსუბუქად დაშავდა სამი ადამიანი.

შსს-ს ინფორმაციით, შემთხვევის წინაპირობა კონფლიქტი ყოფილიყო, რომელიც ქალთან დაკავშირებულ შელაპარაკებას გულისხმობდა, რომელიც ქართველებსა და პოლონელებს შორის ჩხუბში გადაიზარდა.

სამართალდამცველების ინფორმაციით, დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ, გაირკვა, რომ 26 წლის მთვრალი ქართველი მამაკაცი მანქანაში ჩაჯდა და გამიზნულად, კლუბის წინ მდგარ ხალხის ჯგუფს დაეჯახა.

დამნაშავემ გაქცევა სცადა, თუმცა, მალევე დაიჭირეს, მასთან ერთად კი ინციდენტში მონაწილე 3 ქართველიც დააკავეს.

## ვაზისუბანში აფეთქების შედეგად დაშავებული ერთ-ერთი პირი კლინიკაში გარდაიცვალა



ვაზისუბანში აფეთქების შედეგად დაშავებული ერთ-ერთი პირი ხეჩინაშვილის კლინიკაში გარდაიცვალა. მათივე ცნობით, დაზარალებულს სიცოცხლესთან შეუსაბამო დამწვრობები ჰქონდა და ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

კლინიკაში ამ დროისთვის ხანძრის შედეგად დაშავებული 2 ადამიანი რჩება.

შეგახსენებთ, რომ საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძარი ბუნებრივი აირის გაჟონვას უკავშირდება, რამაც აფეთქება გამოიწვია. ამ დროისთვის ცეცხლი ლიკვიდირებულია. ხანძრის შედეგად დაზიანებულია კორპუსის 3 სართული.

## ირაკლი შოთაძე: „შოვში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს“

გენერალური პროკურორის განცხადებით, შოვში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდგომ საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიან.



საქართველოს გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის განცხადებით, შოვში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდგომ საზოგადოებას ამომწურავ ინფორმაციას მიაწვდიან. როგორც ირაკლი შოთაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, გასაჯაროვდება მასალებიც.

– უპირველეს ყოვლისა, თითოეული გარდაცვლილის ოჯახს მივუსამძიმრებ ამ უდიდესი ტრაგედიის გამო, რაც რაჭაში დატრიალდა. გამოძიება მიმდინარეობს შსს-ში, შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი, ასეულობით მოქალაქეა უკვე დაკითხული, დანიშნულია მთელი რიგი ექსპერტიზები და დაზარალებულებს, დაზარალებულის უფლებამონაცვლეებს წვდომა აქვთ სისხლის სამართლის მასალებზე. ისინი ჩართული არიან გამოძიების პროცესში და თითოეული მათი შუამდგომლობა თუ წინადადება სხვადასხვა საგამოძიებო, თუ საპროცესო მოქმედებებთან გათვალისწინებულია. რაც შეეხება გამოძიების შედეგებს, გამოძიება მიმდინარეობს ინტენსიურად და საზოგადოებას გამოძიების დასრულების შემდგომ აუცილებლად მივაწვდით დეტალურ და ამომწურავ ინფორმაციას გამოძიების შედეგების შესახებ, მათ შორის მასალებსაც, რა თქმა უნდა. იქ ძალიან დეტალური ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოებას გამოძიების შედეგების შესახებ, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

ცნობისთვის, შოვში მეწყერი 3 აგვისტოს ჩამოწვა. შოვში დაღუპული 32 ადამიანის ცხედარი იპოვეს, ერთს კი, ამ დრომდე ეძებენ.

# „სალომე ზურაბიშვილი თუ პრეზიდენტის პოსტს დატოვებს, სერიოზული ოპოზიციური ფიგურა იქნება“

## ვახტანგ ძაბირაძე: „2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ერთპარტიული მმართველობა უნდა დაასრულოს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



***– ბატონო ვახტანგ, ირაკლი კობახიძე აცხადებს, არსებობს გეგმა, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის შეიქმნას ლომჯარია-ზურაბიშვილ-გახარიას პოლიტიკური პარტია. პრეზიდენტის პოსტიდან სალომე ზურაბიშვილი რამდენად შეიძლება, არჩევნებში ჩაერთოს?***

– ძალიან ბევრ რამეს ამბობს ირაკლი კობახიძე, მაგრამ რამდენად არის ეს ინფორმაცია რეალობა, ეს არის მთავარი. პრეზიდენტის პოზიციიდან სალომე ზურაბიშვილს ერთადერთი რაც შეუძლია, ეს არის ოპოზიციის კოორდინირება. ეს კი, არა მგონია, საკმარისი იყოს ე.წ. მესამე ძალის ფორმირებისთვის. მესამე ფრთის ჩამოსაყალიბებლად ბევრად მეტია საჭირო.

სალომე ზურაბიშვილი თუ გადაწყვეტს, რომ პრეზიდენტის პოსტი დატოვოს, მაშინ ის იქნება სერიოზული ფიგურა ოპოზიციურ ფლანგზე, საერთოდ პოლიტიკურ ველზე. ამ შემთხვევაში სავსებით რეალურია ე.წ. მესამე ძალის ფორმირება. ამ შემთხვევაში ის გახდება პროდასავლური ოპოზიციური ფლანგის გამაერთიანებელი ლიდერი.

***– ეს ძალა იქნებოდა რეალური ალტერნატივა?***

– დიახ. ეს ძალა უკვე ნამდვილად იქნებოდა რეალური ალტერნატივა „ქართული ოცნების“ და რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ნაციონალური მოძრაობის ალტერნატივაც. აქ უკვე საუბარი აღარ იქნებოდა იმაზე, შეძლებდა თუ არა ეს მოძრაობა, გნებავთ ერთობა, ხუთპროცენტიანი ბარიერის გადალახვას, აქ უკვე საუბარია რეალურ ალტერნატივაზე, ძალაუფლების აღებაზე. თუმცა, აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“, ისევე, როგორც ნაციონალური მოძრაობა, აუცილებლად გადალახავენ ხუთროცენტიან ბარიერს და ისინიც იქნებიან წარმოდგენილები ახალ პარლამენტში. ეს მოცემულობა კი შექმნის ძალთა თანაფარდობას. აქ უკვე გადამწყვეტი როლი ენიჭება იმ პარტიას, რომელსაც ექნება „ოქროს მანდატი“. ასეთი „ოქროს მანდატი“ შეიძლება იყოს ხუთი-ექვსი. ვისაც ეს მანდატები ექნება ხელთ, სწორედ ის დაიწყებს საუბარს მთავრობის ფორმირებაზე. ეს შეიძლება ძალიან საინტერესო პროცესი იყოს.

***– რაც გულისხმობს კოალიციური მთავრობის ფორმირებას?***

– რა თქმა უნდა! მიზანიც ეს უნდა იყოს. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა ერთპარტიული მმართველობა უნდა დაასრულოს.

თუ მოვლენები ასე არ განვითარდება და მივიღებთ ცოტათი განსხვავებულ სურათს, მე მაინც ვფიქრობ, რომ აუცილებელი იქნება კოალიციური მთავრობის ფორმირება. მეეჭვება, რომ ვინმემ შეძლოს 76 მანდატის აღება.

***– რაც უბრალო უმრავლესობას ნიშნავს. არა საკონსტიტუციო უმრავლესობას, მაგრამ მაინც უმრავლესობას, რომელსაც შეუძლია მთავრობის ფორმირება.***

– დიახ, მაგრამ მეეჭვება, რომელიმე პარტიამ მოახერხოს 76 მანდატის აღება. ამ შემთხვევაში არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორისაც შედგეს კოალიცია.

***– ამ შესაძლებლობას რეალურად უშვებთ?***

– რა თქმა უნდა, რეალური კოალიცია სწორედ ასეთია. იმას, რაც საქართველოში აქამდე გვინხავს, საერთო არაფერი აქვს კოალიციურ მმართველობასთან.

***– ის წინასაარჩევნო ერთობაა.***

– რასაკვირველია. კოალიციები არჩევნების შემდეგ იქმნება დაპირისპირებულ, ერთმანეთთან ოპოზიციაში მყოფ ძალებს, პარტიებს შორის.

***– როგორც ეს ხდება საპარლამენტო ქვეყნებში, მაგალითად, იტალიაში, ისრაელში.***

– დიახ და ამაზე ხშირად უნდა საუბრობდეს ოპოზიცია. ეს ინფორმაცია არ აქვს ხალხს, საზოგადოებას. ამომრჩეველს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია სწორედ პოლიტიკოსებმა უნდა მიაწოდონ, რომ ამომრჩეველი ბევრად უფრო ინფორმირებული იყოს.

ხშირად არ მოსწონთ საპარლამენტო მმართველობა, იქედან გამომდინარე, რომ არამდგრადია. ვერ იქმნება მთვარობა, რადგან ვერ თანხმდებიან ან იქმნება და მალევე იშლება და ისევ ხელახალი არჩევნები ინიშნება. თავის დროზე ამ საფრთხეებზე იყო საუბარი, როდესაც მმართველობის ამ მოდელზე გადავდიოდით საპრეზიდენტო რესპუბლიკიდან, მაგრამ დროა რეალური კოალიციური მთავრობების, რომელიც საპარლამენტო მოდელისთვის არის დამახასიათებელი.



## ღაზაში გაეროს კიდევ 6 თანამშრომელი დაიღუპა

ღაზას სექტორში გაეროს კიდევ 6 თანამშრომელი დაიღუპა, – ამის შესახებ „ბიბისი“ გაეროს პალესტინელ ლტოლვილთა სააგენტოზე დაყრდნობით იტყობინება.

მედიასაშუალების ცნობით, ღაზაში დაღუპული გაეროს თანამშრომელთა საერთო რაოდენობა კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 35-ს აღწევს.

– ჩვენ ვგლოვობთ მათ დაკარგვას და ვდგავართ კოლეგებთან ერთად, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ გაჭირვებულთა დასახმარებლად, – აცხადებს გაეროს გენერალური მდივანი ანტონიო გუტერეში.

## „ჯოჯოხეთი გავიარე“ — მძევლობიდან გათავისუფლებული 85 წლის ქალი

„ჰამასის“ ტყვეობიდან გათავისუფლებული 85 წლის ქალი, იოჩევედ ლიფშიცი ამბობს, რომ „ჯოჯოხეთი გაიარა“ ღაზაში. ის ტყვედ ორ კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში იყო. ქალი ორშაბათს ღამით გათავისუფლდა და თელ-ავივში, კლინიკაში გადაიყვანეს.



– მოტოციკლით მომიტაცეს, როცა ისინი ღაზასკენ მიდიოდნენ, – თქვა ქალმა, რომელიც ჟურნალისტებს ებრაულად ესაუბრებოდა, მის მონათხრობს კი შვილი თარგმნიდა. შვილმა ახსნა, როგორ ედო ქალს თავი მოტოციკლის ერთ მხარეს, ხოლო ფეხები მეორე მხარეს ეკიდა. ქალმა თქვა, რომ სისხლჩაქცევები გაუჩნდა.

მისივე თქმით, გამტაცებლებმა ჯოხი დაარტყეს, სხვა პირებთან ერთად გადაიყვანეს მიწის ქვეშ, რამდენიმე კილომეტრი იარეს სველ მიწაზე:

– ქვემოთ არის გვირაბების უზარმაზარი, უზარმაზარი ქსელი. ობობის ქსელს ჰგავს.

ლიფშიცმა თქვა, რომ ექიმები და მედპერსონალი ელოდნენ მათ მიღებას. ჟურნალისტებს მან უამბო, რომ თავდაპირველად 25 სხვა ადამიანთან ერთად იყო ჯგუფში, შემდეგ, გამტაცებლებმა ის უფრო მცირე ჯგუფში მოათავსეს 5 სხვა ინდივიდთან ერთად, რომლებიც იგივე კუბიციდან გაიტაცეს, საიდანაც ის.

– როდესაც იქ მივედით, ხალხმა გვითხრა, რომ ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც სჯერათ ყურანის და ისინი ზიანს არ მოგვაყენებენ. [...] იყვნენ მცველები, პარამედიკოსი და ექიმი, რომლებიც ზრუნავდნენ იმაზე, რომ ჩვენ გვექნებოდა ის წამლები, რაც ჩვენ გვჭირდებოდა, – თქვა ქალმა.

ლიფშიცმა თქვა, რომ მათ ლეიბებზე ეძინათ და გვირაბებს აღწერდა, როგორც „ყველაზე მეტად სველი, ყველგან ნესტიანი“. მისი თქმით, იკვებებოდნენ თეთრი ყველითა და კიტრით – იგივე საკვებით, რაც დამტყვევებლებს ჰქონდათ.

– ეს არ დასრულებულა, სანამ ყველა სახლში არ არის, – უთხრა უკვე ყოფილმა მძევალმა ჟურნალისტებს.

ისრაელი ამბობს, რომ „ჰამასის“ ტყვეობაში 200-ზე მეტი ადამიანი რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხინვალელი მეწარმეები რეგიონის რუსეთის ფედერაციის მდგომარეობაში ჩაყენებას მოითხოვენ

## რა გამოწვევების წინაშე დააყენა ოკუპანტმა რუსეთმა საქართველოს ოკუპირებული რეგიონები?

მარიამ მჭედლიშვილი

ერთი მხრივ, რუსეთი განაგრძობს საქართველოს რეგიონების ოკუპირებას და დგამს ნაბიჯებს ანექსიისკენ, მეორე მხრივ კი, მათ კოლაფსურ ეკონომიკურ მდგომარეობაში აყენებს.



აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ასლან ბჟანია საზოგადოებას არ უმალავს, რომ რუსეთიდან ფინანსური ნაკადების შემოდინებამ საგრძნობლად დაიკლო. ბჟანია ირწმუნება, რომ აფხაზეთი თანდათან ზრდის საკუთარ შემოსავლებს. ის აღიარებს, რომ რუსეთიდან საინვესტიციო პროგრამები თანდათან მცირდება.

– ოდესღაც რუსეთის ფედერაციიდან აფხაზეთში წელიწადში შემოდიოდა 100 მილიონი დოლარი, ახლა ეს თანხა 10 მილიონია. თუმცა, ბოლო წლებში რუსეთი აფხაზეთს ზამთრობით უფასოდ აწვდის ელექტროენერგიას. ენერგოშემოდინება წელსაც იქნება, – უთხრა მოსახლეობას საოკუპაციო ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.

აფხაზეთში, ისევე როგორც ცხინვალის რეგიონში, აღელვებთ რუსეთის მიერ შემოღებული გაზრდილი საბაჟო ტარიფები, რომელმაც უკვე გააძვირა რუსეთიდან შემოზიდული პროდუქცია ამ ტერიტორიებზე.

1 ოქტომბრიდან რუსეთში ამოქმედდა ახალი საბაჟო ტარიფები რუსეთის იმ პროდუქციაზე, რომელიც ევრაზიული ეკონომიკური სივრცის გარეთ, მათ შორის, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გადის.

20 ოქტომბერს უნდა გამართულიყო რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს კომისიის სხდომა, რომელსაც აფხაზეთისა და ცხინვალისთვის საექსპორტო საბაჟო გადასახადები უნდა გადაესინჯა. სხდომა გაუგებარი მიზეზებით ჩაიშალა, ოკუპირებულ რეგიონებში კი საქონელი სულ უფრო ძვირდება, დატვირთული მანქანები საზღვარზე კი ყოვნდებიან. ცხინვალელი დისტრიბუტორები, ვაჭრები და მეწარმეები მისტირიან ქართველებთან ვაჭრობის პერიოდს და საოკუპაციო ადმინისტრაციისგან სასწრაფო ზომებს მოითხოვენ. დანარჩენ საქართველოსთან, ანუ თბილისის მიერ კონტროლირებად ნაწილთან ცხინვალელების მიმოსვლა აღდგენილია, მაგრამ მხოლოდ ფეხით მოსიარულეებისთვის. ასე სავაჭრო ურთიერთობები ვერ ვითარდება.

საკითხზე საუბრობს **„სამხრეთ ოსეთის“ მეწარმეთა გაერთიანების თავმჯდომარე ალბერტ ვალიევი.** მისი ზოგიერთი ფრაზა და ტერმინი ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს.

***– რამდენი ხანი უწევთ სატვირთო მანქანებს საზღვარზე გაჩერება 1 ოქტომბრის შემდეგ?***

– სხვადასხვანაირად. მძიმე მდგომარეობაა. ბევრი ველარ ბედავს ტვირთვის შემოტანას, რადგან ეს ძვირი ჯდება. თუ უშუალოდ მწარმოებლისგან მოაქვთ პროდუქცია, ნაკლები წვალებაა, თუმცა, ფასები მომატებულია. ბაზრობებიდან და საბითუმო ბაზრებიდან საქონლის შემოზიდვა ბევრად უფრო ძნელი გახდა.

რას წარმოადგენს იმპორტი „სამხრეთ ოსეთისთვის“? ეს არის, საქონლის გადაადგილება რუსეთის საბითუმო ობიექტებიდან ადგილობრივ საცალო სივრცეში. აბსურდულია ამის გაფორმება სრულყოფილ საექსპორტო ოპერაციად. ამ ყველაფრის შედეგად ვიღებთ ნაკლებად გასაგებ, გაძნელებულ და ძვირადღირებულ „პროცედურას“ საზღვარზე.



***– მეწარმეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს. მათ რესპუბლიკის ხელმძღვანელ გაგლოევს განუცხადეს, რომ საზღვარზე შექმნილი ვითარება ნორმალურად არ მიაჩნიათ.***

– ამგვარი ვითარება პირველად არ იქმნება. ერთადერთი გონივრული გადაწყვეტილებაა, საზღვარზე პოსტის საერთოდ გაუქმება. გაუგებარია, რატომ არ შეიძლება ტვირთების მოძრაობა მოხდეს ისე, როგორც რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის. მეწარმეებმა პრეზიდენტს ეს შეკითხვაც დაუსვეს. მეწარმეებმა მას უთხრეს, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა, ჩვენ სრულფასოვნად ვმონაწილეობთ სამხედრო ოპერაციაში უკრაინის ტერიტორიაზე, ევრაზიული ეკონომიკური კავშირის წევრებისგან განსხვავებით. რატომ არ შეგვიძლია პროდუქციის შინ მშვიდად მოტანა?!

# მაკრონი: „ჰამასის დასამარცხებლად საჭიროა საერთაშორისო კოალიცია“



ჰამასის დასამარცხებლად საჭიროა საერთაშორისო კოალიცია, – აცხადებს საფრანგეთის პრეზიდენტი ბენიამინ ნეთანიაჰუსთან შეხვედრის შემდეგ. მისი თქმით, ისრაელის ომი ღაზაში ტერორისტული ჯგუფების წინააღმდეგ, საფრანგეთის ომიცაა.

– ეს ბრძოლა ტერორიზმთან აშკარად არის ისრაელის არსებობის საკითხი, მაგრამ ის ყველა ჩვენგანის არსებობის საკითხია, – უთხრა მაკრონმა პრემიერ ნეთანიაჰუს ერთობლივი პრესკონფერენციის დროს.

– ვთვლი, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ საერთაშორისო კოალიცია, რათა ვებრძოლოთ ამ ტერორისტულ დაჯგუფებას, – ამბობს მაკრონი.

საფრანგეთის პრეზიდენტი ისრაელში სოლიდარობის ვიზიტის ფარგლებში გუშინ ჩავიდა და ომში მყოფ ქვეყანას მხარდაჭერა გამოუცხადა. მაკრონი პრეზიდენტ ისაak ჰერცოგსაც შეხვდა.

# ნეთანიაჰუ: „ბრძოლა „ჰამასის“ წინააღმდეგ, შესაძლოა, ხანგრძლივი იყოს“

– ისრაელის ბრძოლა „ჰამასის“ წინააღმდეგ, შესაძლოა, ხანგრძლივი იყოს, – ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრი საუბრობს.



ბენიამინ ნეთანიაჰუ ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ „ჰამასს“ ვერ დაამარცხებენ, ისრაელი ყველაფერს დაკარგავს. მისივე თქმით, „ჰამასი“ ევროპასაც საფრთხეს უქმნის. მან კიდევ ერთხელ მოუწოდა ტერორისტულ დაჯგუფება „ჰეზბოლას“, რომ ომს არ შეუერთდეს.

– იმედი მაქვს, ისინი გაითვალისწინებენ ჩვენს გაფრთხილებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას საშინელი შედეგები მოჰყვება, – განაცხადა ნეთანიაჰუმ.

7 ოქტომბერს, ღაზას სექტორიდან ისრაელზე მოულოდნელი სარაკეტო და სახმელეთო თავდასხმა წამოიწყეს. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება „ჰამასმა“ აიღო და მას ოპერაცია „ალ-აქსას შტორმი“ უწოდა. სარაკეტო იერიშის საპასუხოდ ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ საომარი მდგომარეობა და ოპერაცია „რკინის ხმლების“ დაწყება გამოაცხადა.

ეკონომიკა

# ვის შეეხება სახელმწიფო მიწის უკანონო მითვისებაზე ამნისტია



მთავრობა უკანონოდ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების მფლობელებისთვის ამნისტიის გამოცხადებას გეგმავს. ამნისტიის კანონპროექტი პარლამენტში უკვე წარდგენილია და მისი განხილვა საპარლამენტო კომიტეტებზე მიმდინარეობს.

ვის და როგორ შეეხებათ ამნისტია კომპანია OK&CG დამფუძნებელი, ადვოკატი **ოთარ კაჭკაჭაშვილი** საუბრობს.

– ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიწის საკითხში უამრავი პრობლემა დაგროვდა. ერთი მხრივ, სახელმწიფო მუდმივად ცდილობს, რომ ასახოს და დაარეგისტრიროს ყველა დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთი. მეორე მხრივ კი, ეს პროცესი რაც უფრო ღრმა ფაზაში შედის, მით უფრო მეტი პრობლემა ხდება ცხადი.

სახელმწიფომ აღმოაჩინა უამრავი შემთხვევა, რომელიც ჩაითვალა, რომ არ იყო კანონიერად რეგისტრირებული. არის ე.წ. მამა-პაპისეული განწყობები, როცა ეგონათ, რომ მიწა მათი იყო, რადგან მათი წინაპრები ამუშავებდნენ, თუმცა, ეს ყველაფერი არ იყო დოკუმენტირებული. შედეგად, დაგროვდა ბევრი სისხლის სამართლის საქმე. ზოგ შემთხვევაში, პროცესი მიმდინარეა, ზოგ შემთხვევაში განაჩენი დამდგარია და ბევრი ადამიანი ამის გამო საპატიმროშიცაა, ან იხდის ჯარიმას.

აქვე, დგას მესამე კომპონენტი, მიყენებული ზიანის ანაზღაურება და დასაკუთრებული ქონების უკან დაბრუნება. ინიციატივა, რომელიც დაახლოებით 3 კვირის წინ გაჟღერდა, ეხება სამივე კომპონენტის დარეგულირებას, თუმცა, როგორი იქნება საბოლოო სახე, ამას საპარლამენტო განხილვების შემდეგ გავიგებთ. თავად ინიციატივა კი, შეიცავს შემდეგ რამეს – ქონება, რომელსაც სახელმწიფო ჩათვლის, რომ უკანონოდაა დაკანონებული და მას ამჟამინდელი მფლობელი მიატოვებს სახელმწიფოს სასარგებლოდ, მასზე გავრცელდება ეს ამნისტია. ასევე, ამნისტია გავრცელდება იმ ადამიანებზეც, რომლების მიწის შემთხვევაშიც მიტოვების შეუძლებლობა დგას. მათ უნდა აანაზღაურონ დღეს არსებული საბაზრო ღირებულებით სახელმწიფოს სასარგებლოდ, – განაცხადა კაჭკაჭიშვილმა.

ცნობისთვის, ამნისტიის პროექტის მიხედვით, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლდებიან პირები, რომლებმაც მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დანაშაულებრივი გზით მოიპოვეს. მთავრობის საპარლამენტო მდივნის განცხადებით, ამნისტია შეეხება პირს, ვინც მითვისებულ მიწის ნაკვეთს სახელმწიფოს დაუბრუნებს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მიწის ღირებულებას გადაიხდის.

# საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებიდან აქტიურია მხოლოდ 26%



2023 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოში 965.509 კომპანიაა რეგისტრირებული, საიდანაც აქტიური მხოლოდ 26%-ა.

კერძოდ, საქსტატის მონაცემებით, რეგისტრირებული კომპანიებიდან 717.339 ე.წ. ქაღალდის კომპანიაა, ხოლო აქტიურია 248.170 სუბიექტი.

რაც შეეხება რეგიონების მიხედით კომპანიების გადანაწილებას, წელს 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით, ყველაზე მეტი აქტიური კომპანია თბილისზე მოდის 43,4%, შემდეგია იმერეთი 11,7%-ით და აჭარა 11,1%-ით.

# მიმდინარე წელს საქართველოს რუსეთიდან 1.149.053 მოგზაური ეწვია

2023 წლის სამ კვარტალში საქართველოში 5.566.980 საერთაშორისო მოგზაური სტუმრობდა, რაც პანდემიამდე პერიოდის მონაცემების 76.9%-ით აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით კი ზრდა 43%-ია, – ამის შესახებ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის იანვარ-სექტემბრის საერთაშორისო მოგზაურთა სტატისტიკურ მონაცემებშია აღნიშნული.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ყველაზე მეტი მოგზაური – 1.149.053, ისევ რუსეთიდან ეწვია. ეს მაჩვენებელი გასული წლის იანვარ-სექტემბრის მაჩვენებელს 47.3%-ით აღემატება, ხოლო პანდემიამდელ 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 4.7%-ით ჩამორჩება.

კერძოდ, 2022 წლის იანვარ-სექტემბერში რუსეთიდან საქართველოს – 780.339, ხოლო 2019 წლის ანალოგიურ პერიოდში – 1.205.974 მოგზაური ეწვია.

საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების მიხედვით, 2023 წლის მონაცემებით, ტოპ-3 ქვეყანას შორის, რუსეთის გარდა, ხვდებიან თურქეთი და სომხეთი.

# 2023 წლის 9 თვეში საქართველოში 5.6 მილიონი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა




საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია იანვარ-სექტემბრის თვის საერთაშორისო მოგზაურთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს. 2023 წლის I-III კვარტალში საქართველოში 5.566.980 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც პანდემიამდე პერიოდის მონაცემების 76.9% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით კი ზრდა +43%-ია.

9 თვეში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 3.655.576 შეადგინა, რაც 2019 წლის მონაცემის 91.6% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით ზრდა +35.2%-ია.

2023 წლის III კვარტალის მდგომარეობით 2,706,863 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც პანდემიამდე პერიოდის მონაცემების 80.2% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით ზრდა +19.4%-ს შეადგენს.

2023 წლის ივლის-სექტემბრის პერიოდში საქართველოში 1.725.093 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, რაც 2019 წლის მონაცემის 92.6% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით კი ზრდა +15.4%-ია.

საერთაშორისო მოგზაურებისა და საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობა გამოითვლება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციით შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით და მოიცავს უკვე განხორციელებულსა და დასრულებულ ვიზიტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცი, რომელმაც „კოზა ნოსტრა“ შექმნა

**განგსტერული სინდიკატი „კოზა ნოსტრა“ (ჩვენი საქმე) ალბათ ყველას გაუგია. მისი შემქმნელია ჯონი ტორიო.**



## უწყინარი გარეგნობის კაცი

„მას საოცრად უწყინარი გარეგნობა ჰქონდა“, – ასე ახასიათებდა ტორიოს ამერიკელი მწერალი დეშილ ჰემეტი. ის კარგად იცნობდა დამნაშავეთა სამყაროს. ჰემეტი ხომ წლების მანძილზე კერძო დეტექტივად მუშაობდა და არაერთხელ შეხვედრია ტორიოს. ტანდაბალი, სათვალიანი და ჩასუქებული ტორიო სოფლის უწყინარ მასწავლებელს ჰგავდა. ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს კაცი აშშ-ს კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი ლიდერი იყო.

ჯონი ტორიო( 1882-1957) დაიბადა იტალიაში. 3 წლის იყო, როდესაც დედამ აშშ-ში ჩაიყვანა. აქ მოხდა პატარა ჯონის პიროვნების ფორმირება. ტორიომ, როგორც ობოლმა (მამა ადრე დაელუპა) და სიღარიბეში აღზრდილმა ბავშვმა, ადრეული ასაკიდანვე მიაშურა ქუჩას. აქ ლიდერის პოზიციების მოპოვება იოლი როდი იყო. ტორიომ ეს შეძლო. ის კარგი მოჩხუბარი და კარგი ორგანიზატორიც იყო. ეს დაეხმარა ქუჩის ბიჭების ლიდერი გამხდარიყო და ჩამოეყალიბებინა მათგან ბანდა, რომელიც თავზარს სცემდა მთელს ბრუკლინს.

ტორიოს პირველი საქმე კრივში არალეგალური შეჯიბრების მოწყობა იყო. კრივი აშშ-ში იმხანად აკრძალული იყო. ტორიომაც შეკრიბა უბნის ყოჩები და მოაწყო შეჯიბრება. ყველაფერი უნაკლოდ იყო ორგანიზებული. მუშაობდა ტოტალიზატორი. სწორედ მაშინ გამოიკვეთა ტორიოს ორგანიზატორული ნიჭი. ხსენებული ოპერაციის შედეგად მან პირველი დიდი ფული იშოვნა.

– ჩვენ საშინელ დროში ვცხოვრობთ, მაგრამ თუ კაცს მხრებზე თავი აბია, შესაძლებელია, სწრაფად და იოლად გამდიდრდეს, – უთხრა ტორიომ დედას.

პირველი ფულით მან მშობელს მდიდრული საჩუქარი უყიდა. ტორიოს დედა ძალიან უყვარდა.

გზა დამნაშავეთა სამყაროს ელიტისკენ დამნაშავეთა სამყაროს ელიტაში მოხვედრა იოლი როდია. საამისოდ აუცილებელია გავლენიანი პირის მხარდაჭერა. ტორიოსთვის ასეთი ჯიმ კოლოზიმო იყო. ჩიკაგოს კრიმინალურ სამყაროში მას ბრილიანტის ჯიმის სახელით იცნობდნენ.

ჯიმ კოლოზიმო ტორიოს ნათესავი (დის ქმრის ბიძა) იყო. მისი ბანდა ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი გახლდათ ჩიკაგოში. თავდაპირველად ტორიო კოლოზიმოს მცველი იყო. ბრილიანტის ჯიმმა მალე შენიშნა ბიჭის ორგანიზატორული ნიჭი და უფრო სერიოზული დავალებები მისცა. ტორიომ ისინი ბრწყინვალედ შეასრულა, რაც დაეხმარა ერთ-ერთი წამყვანი პოზიციების დამკვიდრებაში ჩიკაგოს დამნაშავეთა სამყაროში. მალე ტორიო აკონტროლებდა ჩიკაგოს რამდენიმე უბანს და ბორდელს. ეს მაღალი შემოსავლის წყარო გახლდათ. ტორიოს გავლენაც სულ უფრო იზრდებოდა. ნელ-ნელა ტორიო კოლოზიმოს შემდეგ ბანდაში მეორე კაცი გახდა.

ჯიმ კოლოზიმო ტერაქტის შედეგად მოკლეს. არსებობს ვერსია, რომ მკვლელობის შემკვეთი ტორიო იყო, თუმცა ამის დამტკიცება ვერ მოხერხდა. ფაქტია, რომ კოლოზიმოს შემდეგ ბანდის სათავეში ტორიო აღმოჩნდა.

მე მსურს ყველა განგსტერული ჯგუფის გაერთიანება ტორიოს ძლევამოსილებამ ზენიტს „მშრალი კანონის“ წლებში მიაღწია. ტორიო არამარტო რამდენიმე არალეგალური ბარის თუ ბორდელის მფლობელი გახლდათ. ის აკონტროლებდა ჩიკაგოს მთელ რაიონებს. ტორიოს გადასახადს უხდიდა ბუტლეგერთა უმრავლესობა. ნელ-ნელა ტორიომ კონტროლი დაამყარა საროსკიპოებსა და სათამაშო ბიზნესზეც.

ტორიოს ავტორიტეტი განუზომელი იყო. მას უსიტყვოდ ემორჩილებოდა თვით ალ კაპონეც კი. იგი მზად იყო ტორიოს ყველაზე ამაზრზენი ბრძანებების შესასრულებლად. კაპონე ფიზიკურად უსწორდებოდა ტორიოს მეტოქეებს. ტორიო დამნაშავეთა სამყაროს ტვინი გახლდათ, კაპონე კი – შემსრულებელი.

ტორიოს მაფიის მენეჯერი იყო. მას არ უყვარდა ძალის გამოყენება და ამას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში აკეთებდა.

– ვცადოთ მოვილაპარაკოთ, ყველაფერზე შეიძლება შევთანხმდეთ, – ასეთი იყო ტორიოს პოზიცია.

გამოძიების ფედერალურ ბიუროში (გფბ) ჯონი ტორიოზე სქელი დოსიე იყო შედგენილი. იქ ნათქვამი იყო რომ ტორიომ „ცივილიზაცია“ შეიტანა განგსტერთა სამყაროს ჯუნგლებში. „ტორიო არის მშვიდობა და არა – ომი“, – თვლიდნენ გფბ-ში, სადაც შეშფოთებას იწვევდა ტორიოს მისწრაფება გაეერთიანებინა ჩიკაგოში მოქმედი ყველა ბანდა.

– შესაძლოა, ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასაყოფი, მაგრამ ეს არაფერია. ყველაფერზე შეიძლება შევთანხმდეთ. მე მსურს შეიქმნას რალაც კავშირის მსგავსი, სადაც შემოვლენ როგორც სიცილიელები, აგრეთვე ირლანდიელები, პოლონელები და ა.შ. თუ ჩვენ ვერ გამოვნახავთ საერთო ენას, მხოლოდ ჩვენს მტრებს ვასიამოვნებთ. სჯობს, დახარჯო 10 დოლარი დღეს, რათა ხვალ 100 მოიგო.

სამართალდამცველები დიდხანს ამაოდ უკირკიტებდნენ ტორიოს. მას უამრავი გავლენიანი მფარველი ჰყავდა, რომლებიც გულდასმით იცავდნენ მას. ტორიოს მეგობრებს შორის იყვნენ მაღალჩინოსანი პოლიციელები, პროკურორები, მოსამართლეები, კონგრესმენები. ტორიო არ ძუნწობდა და გულუხვად უხდიდა მეგობრებს ამ დახმარებისთვის.

გავლენიანი მფარველების წყალობით ტორიო მილიონერი გახდა.

❖ ❖ ❖

## კოზა ნოსტრას შექმნა

„მშრალი კანონის“ გაუქმებასთან ერთად აშშ-ში ბუტლეგერობაც მოისპო. ამან ბევრი მაფიოზი მშრალზე დასვა. ტორიომ კი შეინარჩუნა პოზიციები. ის კვლავაც ცდილობდა ჩიკაგოს ბანდების გაერთიანებას.

ამასობაში გფბ-მ შეძლო სხვადასხვა სიცილიურ ოჯახებს შორის ომის პროვოცირება. აუცილებელი გახდა ერთგვარი მაკოორდინირებელი ორგანოს შექმნა, რომელიც გაარჩევდა საქმეებს და გაყოფდა გავლენის სფეროებს. ასე დაიბადა ლეგენდარული „კოზა ნოსტრა“. იდგა 1934 წელი.

ტორიო უშუალოდ გახლდათ ამ ორგანიზაციის შემქმნელი. განგსტერთა შორის ის ყველაზე ჭკვიანი იყო და ორგანიზატორული ნიჭითაც გამოირჩეოდა. თანაც, ტორიოს ავტორიტეტი განუზომელი იყო და მას ერთადერთს შეეძლო სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ოჯახების შერიგება.

– ომი უნდა შეჩერდეს. თუკი ასე გაგრძელდა, ერთმანეთს ამოვჟუჟავთ, – ამბობდა ტორიო. მან წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანას. გადამტერებული სიცილიური ოჯახები ერთად დასხდნენ. ასე დაიბადა „კოზა ნოსტრა“. მალე ხსენებულ განგსტერულ სინდიკატზე მთელი ამერიკა ალაპარაკდა.

„კოზა ნოსტრა“ უნაკლოდ იყო ორგანიზებული. ნიჭიერი მენეჯერის ხელი ყველგან იგრძნობოდა. სინდიკატის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენდა ე.წ. „დიდი საბჭო“, სადაც გადაწყვეტილებები ხმის უმრავლესობით მიიღებოდა. სინდიკატს ჰყავდა თავისი ბუღალტერიც – მაიკ ლეპსკი. არსებობდა მკვლელთა გუნდიც.

„კოზა ნოსტრამ“ მალე მოიპოვა პირველობა აშშ-ს დამნაშავეთა სამყაროში. ხელისუფლება სერიოზულად შეშფოთდა. გფბ-მ დაიწყო სერიოზული ბრძოლა „კოზა ნოსტრას“ წინააღმდეგ.

ჯონ ტორიოს ნადირის ალღო ჰქონდა. ის მიხვდა, რომ აშშ-ში ფართომასშტაბიანი ანტიმაფიოზური კამპანია იწყებოდა, მიხვდა იმასაც, რომ გფბ-ს შეფ ედგარ ჰუვერთან არ შეიძლებოდა ხუმრობა. ამიტომაც გამოიძახა ალ კაპონე და უთხრა:

– ალ, საყვარელო, მე გადავიქანცე და მსურს დავისვენო. ამიტომ გვერდზე გავდგები. ჩემი შემცვლელი შენ იქნები. ალ, ახლა ეს ყველაფერი შენია.

ამრიგად, ტორიო გვერდზე გადგა, რისი წყალობითაც გადარჩა კიდეც. კაპონე გფბ-ს ნადირობის ობიექტი გახდა. საბოლოოდ ჰუვერმა შეძლო მისი „გაფუჭება“, ტორიო კი თავს არხეინად გრძნობდა.

– მე არ მჯერა, რომ ტორიო საქმიანობას ჩამოშორდა, არ მოვისვენებ მანამ, სანამ მას არ ვამხელ, – განუცხადა ჟურნალისტებს ჰუვერმა.

❖ ❖ ❖

## ჰუვერი ტორიოს წინააღმდეგ

ჰუვერი დიდხანს და მოთმინებით ქსოვდა თავის ბადეს. ტორიოს წინააღმდეგ სამხილები დიდი რუდუნებით შეკრიბეს. მალე პრესაში გაჩნდა მასალები „კოზა ნოსტრას“ შემქმნელის ჭეშმარიტი სახის შესახებ. ამას მალე სასამართლო პროცესიც მოჰყვა.

ტორიომ მთელი თავისი გავლენიანი კავშირები აამოქმედა. „კოზა ნოსტრას“ დამაარსებელი გადარჩა, თუმცა იძულებული გახდა ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო. ახლა ის მართლაც ჩამოშორდა საქმეებს და თავის სახლში წყნარად ცხოვრობდა. ჰუვერი კი მაინც არ ისვენებდა.

ტორიოზე ნადირობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც გაგრძელდა. მისი მდგომარეობა განსაკუთრებით საშიში გახდა მას შემდეგ, რაც გფბ-მ დააპატიმრა „კოზა ნოსტრას“ მკვლელთა ბანდის შეფი, მეტსახელად „პატარა მახრჩობელა“. მან პირდაპირ დაასახელა ტორიო, როგორც განგსტერული სინდიკატის შეფი, რომელმაც არაერთი მკვლელობა შეუკვეთა. ამის შემდეგ „პატარა მახრჩობელამ“ ციხეში „თვითმკვლელობით“ დაასრულა სიცოცხლე. ჰუვერს კი ხელიდან გამოეცალა ფრიად საჭირო მოწმე.

გფბ-ს შეფი არ ისვენებდა. ტორიოს დასაპატიმრებლად ყველაფერი მზად იყო მაგრამ „კოზა ნოსტრას“ დამაარსებელი მოულოდნელად გულის შეტევით გარდაიცვალა. ამან ჰუვერს ძალზე დასწყვიტა გული. მას ხომ ტორიოს დაპატიმრება და გასამართლება სურდა.



# კანის დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

## ეგზემა



კანის დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია ეგზემა. ეგზემა კანის ზედაპირული ანთებითი პროცესია. გამოიხატება სიწითლით, ბუშტების, ქერქისა და ქერცლის წარმოქმნით. თან ახლავს წვა, ქავილი, ზოგჯერ ტკივილი. იგი ხშირად ვითარდება ნერვული და ენდოკრინული სისტემის მოშლით, ქრონიკული ინფექციების (ტონზილიტი, ჰაიმორიტი და სხვ.) არსებობით ორგანიზმში.

- კომბოსტოს ფოთოლს იდებენ დაზიანებულ ადგილზე და ბინტით იხვევენ. 2-3 დღის შემდეგ იხსნიან და ახალ ფოთოლს იდებენ. იმეორებენ რამდენჯერმე.
- რძეშიხარშავენკომბოსტოსფოთოლს, ურევენ ქატოში და იდებენ დაზიანებულ ადგილზე. იმაგრებენ სახვევით.
- კომბოსტოს ატარებენ ხორცსაკეპში და ურევენ კვერცხის ცილას. იდებენ დაზიანებულ ადგილზე საფენით.
- კარტოფილს ჭრიან სიბრტყეზე და იდებენ დაზიანებულ ადგილზე.
- კარტოფილს რეცხავენ, ფცქვნიან, ხეხავენ წვრილ სახეხზე და წურავენ. წვენში ასველებენ 1 სმ სისქეზე დაკეცილ მარლას და იდებენ ეგზემიან ადგილზე. 2 საათის შემდეგ ცვლიან ახლით.
- კარტოფილს ხეხავენ, უმატებენ თაფლს (1/2 ჭიქა ფაფაზე 1 ჩაის კოვზი თაფლი) და ურევენ. ამ ნარევს უსვამენ მარლის სქელ ფენაზე და ადებენ დაზიანებულ ადგილზე. საფენს ცვლიან ყოველ 2 საათში ერთხელ დღის განმავლობაში. ღამე იდებენ დინდგელის მალამოს, დღისით ისევ კარტოფილსა და თაფლის ნარევს.

● ● ●

## წითელი ქარი

წითელი ქარი – კანის მწვავე ანთებითი დაავადება. გამომწვევია სტრეპტოკოკი, რომელიც ხვდება კანში დაზიანებული ადგილიდან. დაავადება იწყება უეცრად. იწვევს ტემპერატურას, დამახასიათებელია თავის ტკივილი, ზოგჯერ ღებინება. დაზიანებულ კანზე ჩნდება სიწითლე, რომელიც ხელის შეხებით მტკივნეული და ცხელია.

წითელი ქარი ხშირად ჩნდება სახესა და ქვედა კიდურებზე.

- ავადმყოფ ადგილზე იყრიან ჭვავის ფქვილს, ზემოდან აფარებენ ცისფერ ქაღალდს და იხვევენ. იცვლიან ყოველდღე. ეს პროცედურა უნდა ჩატარდეს დილით ადრე, მზის ამოსვლამდე 1 საათით ადრე.
- ბამბას ასველებენ ქაფურის ზეთში და იდებენ გაწითლებულ ადგილზე. შემდეგ იხვევენ. პროცედურას ატარებენ დღეში ორჯერ.
- დინდგელის მალამოს წასმა კურნავს წითელ ქარს 3-4 დღეში.
- კარტოფილის ფქვილს იყრიან გაწითლებულ უბანზე და ზემოდან აფენენ საფენს.
- დაზიანებულ ადგილზე ისვამენ ღორის ქონს ყოველ 2 საათში.
- დაზიანებულ ადგილზე იდებენ მრავალძარღვას ფოთოლს (უმჯობესია ახალდაკრეფილი).
- ვირისტერფას ახალ ფოთლებს იდებენ დაზიანებულ ადგილზე და იხვევენ.
- აიღეთ დედოფლისთითა, სამფერი ია და ორკბილა, თითოეული 10-10 გრამის ოდენობით 1 ლიტრ წყალზე. ადუღეთ 20-25 წუთის განმავლობაში. 1 ლიტრი ნახარში ერთი დღეღამის დოზაა.

**გარეგან სახმარად კი გამოიყენეთ შემდეგი საშუალება** – დედოფლისთითას ნედლ, აყვავებულ ბალახიდან გამოწურულ 250 გრამ წვენს



250 გრამ 90%-იან სპირტს ასხამენ. დგამენ 10 დღის განმავლობაში. ისვამენ დაზიანებულ ადგილზე.

- აიღეთ 50 გრამი ნატურალური თაფლი, 50 გრამი ზეითუნის ზეთი, 20 დაფხვნილი აბი სტრეპტოციდი, ერთმანეთში აურიეთ, წამოადუღეთ, გააცივეთ და ფეხზე წაისვით დღეში სამჯერ. რამდენიმე დღეში დაავადება გაივლის.



# რეჟისორი ლიანა ელიავა გარდაიცვალა



ცნობილი ქართველი კინორეჟისორი, სცენარისტი და მწერალი ლიანა ელიავა გარდაიცვალა. მან მთელი ცხოვრება ქართულ კინოს მიუძღვნა და არაერთი ფილმი გადაიღო: „ბზიანეთი“, „მშვენიერი კოსტიუმი“, „ეპისკოპოსი ნადირობაზე“, „ფერმა მთაში“, „სინემა“. მისი ბოლო ფილმი „გზის დასაწყისი“ აღმოჩნდა. ლიანა ელიავას ფილმებს „პოეტურ კინოდ“ მოიხსენიებდნენ.

ლიანა ელიავამ გამოსცა წიგნები: „სიზმრად ნანახი ფილმები“, „კინო უეკრანოდ“.

ხელოვანს მიღებული ჰქონდა ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის ოქროს მედალი, იყო კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის ახალგაზრდული ფესტივალების ლაურეატი და საქართველოს კინოაკადემიის წევრი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# დავით შანიძემ „რუსთავთან“ პირველი რეპეტიცია გამართა



ანსამბლ „რუსთავს“ ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი ჰყავს – დავით შანიძე. მან მომღერლებთან პირველი რეპეტიცია უკვე გამართა. ის ანზორ ერქომაიშვილის აღზრდილია და მის გაკვალულ გზას აგრძელებს. კარგად იცის ანსამბლის სპეციფიკა და შესაძლებლობები, ვინაიდან, როგორც მომღერალმა, ფეხი „მართვეში“ აიდგა და ეს გარემო მისთვის ახლობელია.

დავით შანიძის გამოცდილება, განათლება, ნიჭი და მონდომება მალე გამოიღებს სასურველ შედეგს და მისი ნახვის შესაძლებლობა ფართო საზოგადოებასაც მიეცემა.

# რობერტ გეიტსმა განგაშის ზარებს შემოჰკრა



რობერტ გეიტსი ცნობილი ამერიკელი მოღვაწეა. ის სხვადასხვა დროს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) შეფი და თავდაცვის მინისტრი იყო. გეიტსს სამართლიანად უწოდებენ მსოფლიოში ერთ-ერთ ინფორმირებულ კაცს.

ცსს-ის ამჟამინდელი დირექტორის ბიონსის ცნობით, გეიტსი უფრო მეტ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე ბაიდენი. ამიტომაც მისმა უკანასკნელმა გამოსვლამ მსოფლიო რეზონანსი იქონია.

გეიტსმა დაწვრილებითი ანალიზი გაუკეთა შექმნილ გეოპოლიტიკურ სიტუაციას. მან განაცხადა, რომ ახალი ცივი ომი მწვავე ფაზაში შედის. გამოიკვეთა ორი დაპირისპირებული ბანაკი: 1) აშშ და მისი მოკავშირეები; 2) ე.წ. „ბოროტების ღერძი", რომელშიც შედიან რუსეთი, ჩინეთი, ირანი, აგეთვე ექსტრემისტული ორგანიზაციები – ჰამასი და ჰესბოლა, რომელთა უკანაც ირანი დგას.

გეიტსი დაწვრილებით შეჩერდა ახლო აღმოსავლეთში შექმნილ მდგომარეობაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ ვითარების გამწვავებაში ლომის წვლილი ითამაშა რუსეთმა. მოსკოვს უკრაინაში ბლიც-კრიკი ჩაუვარდა. მეტიც, ის ომს აგებს. უკრაინამ რუსების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების 55% უკვე გაათავისუფლა. ახლა ზაპოროჟიე-ხერსონის ოლქების გათავისუფლება დაიწყო. ომის წაგება კი პუტინისათვის, როგორც პოლიტიკური კარიერის, ისე სიცოცხლის დასასრულსაც ნიშნავს. ამიტომ ის მსოფლიო მასშტაბით დაძაბულობის ახალ კერებს ქმნის. ერთ-ერთი ასეთი კერაა ახლო აღმოსავლეთი, კერძოდ, ისრაელი. კონფლიქტის გაღვივების შემთხვევაში მასში შესაძლოა ჩაერთონ, როგორც არაბული ქვეყნები, ისე ირანიც. მის უკან კი რუსეთი დგას.

შექმნილ ვითარებას ცსს-ის ექსშეფი კარიბის კრიზისს ადარებს. მაშინაც სამყარო მესამე მსოფლიო ომის პირას იდგა. ახლა პუტინმა ხელოვნურად შექმნა მსგავსი ვითარება. მიზანი ნათელია – აიძულოს დასავლეთი, უკრაინის მხადაჭერაზე ხელი აიღოს.

პუტინის ე.წ. სამშვიდობო გეგმა მარტივია: უკრაინაში საომარი მოქმედება უნდა შეწყდეს და ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის კი საერთაშორისო სამშვიდობო ძალები ჩადგნენ. ამით ფაქტიურად საომარი სიტუაციის გაყინვა მოხდება. ის ტერიტორია, რომლის მოტაცებაც რუსეთმა მოახერხა, მას დარჩება. დანარჩენი უკრაინის იქნება. კიევს მიიღებენ ევროკავშირსა და ნატოში. თუმცა, უკრაინის 55% ე.წ. დამცავ ჯებირად გადაიქცევა. ასე შეიქმნება ტერიტორია რუსეთსა და ნატოს შორის.

ცსს-ის ექსშეფმაც განგაშის ზარებს შემოჰკრა. ის ხაზს უსვამს, რომ პუტინისეული გეგმის მიღება მშვიდობას ვერ უზრუნველყოფს. შესაძლოა, დროებით საომარი მოქმედებები მართლაც შეწყდეს, მაგრამ ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. როგორც კი რუსეთი სულს მოითქვამს, ის შეტევაზე გადავა და ახალ-ახალი უკრაინული მიწების დაპყრობას შეეცდება.

# თეთრი სახლი განცხადებას ავრცელებს



თეთრი სახლის წარმომადგნელმა კირბიმ განაცხადა, რომ ახლო აღმოსავლეთში ფეთქებადსაშიში ვითარებაა. ეს შესაძლოა რეგიონალური ომითაც დასრულდეს.

– სიტუაციის გართულების შემთხვევაში ახლო აღმოსავლეთში დისლოცირებული ამერიკელი ჯარისკაცები შესაბამისად იმოქმედებენ, – თქვა კირბიმ.

# ქალაქ ხერსონთან კვლავ ბრძოლებია

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. ოკუპანტები განაგრძობენ შეტევებს კუპიანსკის მიმართულებით. აქ რუსებმა ახალი რეზერვები გადაისროლეს, მაგრამ მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწიეს. კვლავინდებურად არ არის აღებული სოფელი სენკივკა. ამის გარეშე კი კუპიანსკის მიმართლებით წინსვლა შეუძლებელია. რაც შეეხება ლიმანის მიმართულებას, გასულ დღეს აქ კვლავ შედარებითი სიწყნარე იყო. ოკუპანტებმა ახალი რეზერვები გადმოსხეს.

საინტერესო მოვლენები განვითარდა ავდეევკასთან. რუსებმა განაახლეს შეტევები. შეტაკებებია ავდეევკის მისადგომებთან. ამავე დროს სიმართლეს არ შეესაბამება რუსების მტკიცება, თითქოს ავდეევკისაკენ მიმავალი ერთადერთი ტრასა ოკუპანტებმა ცეცხლოვანი კონტროლის ქვეშ აიყვანეს.

– რუსები ჯიუტად ცდილობენ ავდეევკის მოქცევას ე.წ. „კოტიოლში", მაგრამ უშედეგოდ. უკრაინელი ჯარისკაცები უდიდესი ძალისხმევის ფასად თავიანთ პოზიციებს ინარჩუნებენ. მსგავსი სიტუაციაა მარინკასთანაც. აქაც ოკუპანტებმა წინ ვერ წაიწიეს. რაც შეეხება ბახმუტს, აქ რუსები დაკარგული პოზიციების დაბრუნებას შეეცადნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. შედეგად რუსებმა ახალი დანაკარგი განიცადეს.

საინტერესო ვითარება შეიქმნა უკრაინის სამხრეთ რეგიონში. უკრაინული არმია განაგძობს კონტრშეტევებს რობოტინოს დასავლეთით. რაც შეეხება ხერსონსჩინას, აქ დნეპრის მარცხენა ნაპირზე გადმომსხდარი უკრაინული დესანტი პოზიციებს იმაგრებს, რაც რუსების განუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლის ქვეშ უწევთ. ქალაქი ხერსონი ცეცხლშია გახვეული.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

კალეიდოსკოპი

# უსახლკარო მამაკაცებმა ეროტიკული კალენდრის ფოტოსესიაში მიიღეს მონაწილეობა



ამერიკელმა ფოტოგრაფმა გადაწყვიტა, უსახლკარო ადამიანების პრობლემისადმი მიეპყრო საზოგადოების ყურადღება და მათი მონაწილეობით ეროტიკული კალენდარი გამოუშვა.

ამერიკის სოლტ-ლეიკ-სიტის მკვიდრმა 38 წლის ქსენია კნიაზევმა მას შემდეგ გადაწყვიტა უსახლკაროთათვის ქველმოქმედებაში მიელო მონაწილეობა, როდესაც 2020 წელს თავად გახდა უსახლკარო. მისმა ფიტნესმომსახურების ბიზნესმა კლიენტები დაკარგა და იძულებული გახდა, საცხოვრებლად ტრეილერში გადასულიყო. როდესაც მიხვდა, თუ რამდენად ბევრი ადამიანია დარჩენილი უსახლკაროდ, მან გადაწყვიტა, მათი დახმარებისთვის მოეკიდა ხელი.

თავდაპირველად ის ოლქში დადიოდა და უსახლკაროებს საკვებს, ტანსაცმელსა და საძილე ტომრებს ურიგებდა, რომლებსაც ადგილობრივი მეწარმეებისგან იღებდა. შემდეგ მან დააფუძნა ორგანიზაცია „მომთაბარეთა ალიანსი", რომლის ფარგლებშიც ის ცდილობდა, სოციალური სამსახურებისთვის დახმარების ახალი საშუალებები შეეთავაზებინა და დამატებითი სახსრები შეეგროვებინა. ერთ-ერთი ასეთი იდეა აღმოჩნდა კალენდარი „სექსუალური მომთაბარეები" და რომლისთვისაც რამდენიმე ათეულ მამაკაცს გადაუღო ფოტოსურათი.

ყოველ წელს ფოტოგრაფი ქალი პოულობს 12 უსახლკარო მამაკაცს, რომლებიც კალენდრისთვის ფოტოსურათების გადაღებაზე თანხმდებიან, ხოლო მათი ფოტოსურათების გვერდზე ავტორი მათ ისტორიას აქვეყნებს. კნიაზევა მიიჩნევს, რომ ეს პროექტი, პრაქტიკული მიზნის გარდა, უსახლკაროებს აძლევს შანსს, სხვა მხრიდან შეხედონ საკუთარ პრობლემებს. ასევე, ეს პროექტი დაეხმარა მას, ახალი სპონსორების გამოძებნასა და საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის თანხების მიზიდვაში.

# სანაპიროზე გამორიყულმა „ქალთევზას" სხეულის ფრაგმენტებმა მეცნიერები ჩიხში შეიყვანა

პაპუა-ახალი გვინეას რაიონის მიმდებარედ მდებარე კუნძულ სიმბერის სანაპიროზე იპოვეს არსების სხეულის ფრაგმენტები, რომლებიც ქალთევზას წააგავს.

ოკეანის მიერ გამორიყულ გვამს აკლია თავი და სხეულის ზოგიერთი ფრაგმენტი. თვითმხილველების მიერ გადაღებული ფოტოსურათების მიხედვით, მისი სიგრძე ორჯერ აღემატება ჩვეულებრივი ადამიანის სიგრძეს. არსების ზუსტ იდენტიფიცირებას მისი ძლიერი ლპობა ართულებს. ადგილობრივებს მისი სიგრძის ზომების აღება, აწონვა არ უცდიათ და მაშინვე დაასაფლავეს, ასევე არ აულიათ მისი დნმ-ის ნიმუშები.

„ქალთევზას" ფოტოსურათებმა ბიოლოგები ჩიხში შეიყვანა. მათი უმრავლესობა ვარაუდობს, რომ ეს რომელიმე ზღვის ძუძუმწოვარა ცხოველის სხეულის ნარჩენებია.

– ჩემი აზრით, ის რომელიმე ვეშაპისებრი ცხოველია, – ივარაუდა სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტის ზღვის ცხოველების სპეციალისტმა საშა ჰუკერმა. საზღვაო ბიოლოგმა ფლორიდის უნივერსიტეტიდან გევინ ნეილორმა განაცხადა, რომ ეს დიდი ზვიგენია.

არაკომერციული ორგანიზაციის მკვლევარმა ერიხ ჰოიტმა, რომელიც ვეშაპისებრთა დაცვითაა დაკავებული, განაცხადა, რომ ის პატარა ვეშაპს განეკუთვნება. მის აზრს კიდევ რამდენიმე მეცნიერი იზიარებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

სპორტი

# უეფამ საქართველოს ფუტსალის ნაკრები დასაჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა




უეფამ საქართველოს ფუტსალის ნაკრები დასაჯა და პორტუგალიასთან ტექნიკური მარცხი 0:5 ჩაგვითვალა.

მიზეზი ნატურალიზებული მოთამაშეების წესის დარღვევაა, თუმცა, კონკრეტულად რომელ წესზეა საუბარი, არ კონკრეტდება.

შეგახსენებთ, რომ მატჩი რომელიც 21 სექტემბერს გაიმართა ჩვენმა ნაკრებმა პორტუგალიაში 2:4 დათმო.

უეფამ ანალოგიური მიზეზით ჩვენივე თანაჯგუფელი სომხეთის ნაკრები დასაჯა. ჩვენს მეზობლებს შინ ფინეთთან ასევე ტექნიკური მარცხი, 0:5 ჩაეთვალა.

მიუხედავად აღნიშნული შედეგებისა, ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა არ შეცვლილა და ჩვენი ნაკრები 7 ქულით კვლავ მეორე პოზიციაზეა.

## შედეგები

23 ოქტომბერი

ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ტოტენჰემი-ფულემი .......... 2:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ტოტენჰემი | 9 | 7 | 2 | 0 | 20-8 | 23 |
| 2.სიტი | 9 | 7 | 0 | 2 | 19-7 | 21 |
| 3.არსენალი | 9 | 6 | 3 | 0 | 18-8 | 21 |
| 4.ლივერპული | 9 | 6 | 2 | 1 | 20-9 | 20 |
| 5.ასტონ ვილა | 9 | 6 | 1 | 2 | 23-13 | 19 |
| 6.ნიუკასლი | 9 | 5 | 1 | 3 | 24-9 | 16 |
| 7.ბრაიტონი | 9 | 5 | 1 | 3 | 22-18 | 16 |
| 8.მანჩესტერი | 9 | 5 | 0 | 4 | 11-13 | 15 |
| 9.ვესტ ჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-16 | 14 |
| 10.ჩელსი | 9 | 3 | 3 | 3 | 13-9 | 12 |
| 11.კრ.პალასი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-11 | 12 |
| 12.ვულვზი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-15 | 11 |
| 13.ფულემი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-15 | 11 |
| 14.ბრენტფორდი | 9 | 2 | 4 | 3 | 14-12 | 10 |
| 15.ნოტინგემი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-12 | 10 |
| 16.ევერტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 9-14 | 7 |
| 17.ლუთონი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-17 | 5 |
| 18.ბარნლი | 9 | 1 | 1 | 7 | 7-23 | 4 |
| 19.ბორნმუთი | 9 | 0 | 3 | 6 | 6-20 | 3 |
| 20.შეფილდი | 9 | 0 | 1 | 8 | 7-24 | 1 |

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალენსია-კადისი .......... 2:0

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 10 | 8 | 1 | 1 | 21-7 | 25 |
| 2.ხირონა | 10 | 8 | 1 | 1 | 24-13 | 25 |
| 3.ბარსელონა | 10 | 7 | 3 | 0 | 22-10 | 24 |
| 4.ატლეტიკო | 9 | 7 | 1 | 1 | 23-8 | 22 |
| 5.სოსიედადი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-12 | 18 |
| 6.ბილბაო | 10 | 5 | 2 | 3 | 16-10 | 17 |
| 7.რაიო | 10 | 4 | 4 | 2 | 12-13 | 16 |
| 8.ვალენსია | 10 | 4 | 2 | 4 | 12-11 | 14 |
| 9.ბეტისი | 10 | 3 | 5 | 2 | 12-14 | 14 |
| 10.ოსასუნა | 10 | 4 | 1 | 5 | 11-14 | 13 |
| 11.ხეტაფე | 10 | 2 | 5 | 3 | 13-16 | 11 |
| 12.ლას პალმასი | 10 | 3 | 2 | 5 | 6-9 | 11 |
| 13.კადისი | 10 | 2 | 3 | 5 | 8-14 | 9 |
| 14.ალავესი | 10 | 2 | 3 | 5 | 8-14 | 9 |
| 15.ვილიარეალი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-16 | 9 |
| 16.სევილია | 9 | 2 | 3 | 4 | 14-13 | 9 |
| 17.მალიორკა | 10 | 1 | 5 | 4 | 12-16 | 8 |
| 18.სელტა | 10 | 1 | 3 | 6 | 10-18 | 6 |
| 19.გრანადა | 10 | 1 | 3 | 6 | 15-25 | 6 |
| 20.ალმერია | 10 | 0 | 3 | 7 | 13-29 | 3 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-კარტახენა .......... 1:1

### იტალია. სერია ა

უდინეზე-ლეჩე .......... 1:1

ფიორენტინა-ემპოლი .......... 0:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 9 | 7 | 1 | 1 | 24-5 | 22 |
| 2.მილანი | 9 | 7 | 0 | 2 | 16-9 | 21 |
| 3.იუვენტუსი | 9 | 6 | 2 | 1 | 15-6 | 20 |
| 4.ნაპოლი | 9 | 5 | 2 | 2 | 20-10 | 17 |
| 5.ფიორენტინა | 9 | 5 | 2 | 2 | 18-13 | 17 |
| 6.ატალანტა | 9 | 5 | 1 | 3 | 15-8 | 16 |
| 7.რომა | 9 | 4 | 2 | 3 | 20-12 | 14 |
| 8.ბოლონია | 9 | 3 | 5 | 1 | 10-7 | 14 |
| 9.ლაციო | 9 | 4 | 1 | 4 | 12-12 | 13 |
| 10.ლეჩე | 9 | 3 | 4 | 2 | 10-11 | 13 |
| 11.მონცა | 9 | 3 | 3 | 3 | 8-8 | 12 |
| 12.ფროზინონე | 9 | 3 | 3 | 3 | 12-13 | 12 |
| 13.სასუოლო | 9 | 3 | 1 | 5 | 12-16 | 10 |
| 14.ტორინო | 9 | 2 | 3 | 4 | 6-12 | 9 |
| 15.ჯენოა | 9 | 2 | 2 | 5 | 10-14 | 8 |
| 16.ვერონა | 9 | 2 | 2 | 5 | 6-11 | 8 |
| 17.ემპოლი | 9 | 2 | 1 | 6 | 3-16 | 7 |
| 18.უდინეზე | 9 | 0 | 6 | 3 | 5-13 | 6 |
| 19.სალერნიტანა | 9 | 0 | 4 | 5 | 6-19 | 4 |
| 20.კალიარი | 9 | 0 | 3 | 6 | 5-18 | 3 |

### იტალია. სერია ბ

პალერმო-სპეცია .......... 2:2

### საფრანგეთი. ლიგა 2

ლავალი-სტ.ეტიენი .......... 0:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ტრაბზონი-ალანია .......... 1:0

ქარაგუმრუქი-ადანა .......... 2:0

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

სტალი-ვარტა .......... 0:1

### დანია. სუპერლიგა

ოდენსე-მიდტიულანდი .......... 1:2

### შვედეთი. ალსვენსკა

ვერნამო-გიოტებორგი .......... 3:1

ელფსბორგი-აიკი .......... 3:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*


## განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ლელო ისევ დაუმარცხებელია

### არწივები-ლელო 23:35

თბილისის ლელომ დიდი 10-ის სტარტზე ზედიზედ მეექვსე თამაში მოიგო და სატურნირო ცხრილს 25 ქულით ლიდერობს.

წინა ხუთი შეხვედრისგან განსხვავებით, დიდ დილმელებმა ამჯერად მეტოქეს 3-ით მეტი ლელო გაუტანეს (5-2) და პირველი ბონუსიც აიღეს. თუმცა, ფოთის „პარკი არენაზე“ სტუმრებს დებიუტანტ არწივებთან დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ.

მზიან დარში თამაში კარგი საყურებელი გამოდგა და ანგარიში დებიუტშივე გაიხსნა. არწივებმა პირველივე წუთებიდან აგრესიულად შეუტიეს. ლელო ფეხით გადაკიდებულ ბურთზე თამაშისას შეცდა, ლუკა კოხიამ და სერჯიო სტალმესტერმა კარგად იარეს, რასაც ჯერ მოლი, შემდეგ მორკინალების დარტყმები, ბოლოს კი, რიჩარდ ნდერელანგის ლელო მოყვა. ბახვა კობახიძემ რთული პოზიციიდან გარდასახა, მაგრამ მალევე ჯარიმა გაუცუდდა.

ლელომ პირველი შეტევის ორგანიზება მე-14 წუთზე შეძლო, დერეფნიდან მოლი ააგორა და ნიკა ბაბუნაშვილმა ლელო გაიტანა. გელა ხელაძემ გარდასახვით წონასწორობა აღადგინა. ნელ-ნელა სტუმრების უპირატესობა გამოიკვეთა და 28-ე წუთზე მორიგ მოლს საჯარიმო ლელო მოყვა. ამ ეპიზოდში ყვითელი ბარათით დაისაჯა გურამ სანიკიძე, მაგრამ კაცნაკლულმა არწივებმა ორჯერ მიიღეს ჯარიმის კარში დარტყმის შესაძლებლობა, სერჯიო სტალმისტერმა ორივე ზუსტად შეასრულა და სხვაობა 1 ქულამდე დაიყვანა.

თამაში რომ განახლდა, საკუთარ 22-ში უკვე მასპინძლები დაჯარიმდნენ. ლელომ დერეფნიდან შეუტია და ნიკა სვიმონიშვილმა ლელო გაიტანა, ხელაძემ კი გარდასახვით პირველი ტაიმის ანგარიში დააფიქსირა – 13:21.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტალმესტერმა ჯარიმით კიდევ 3 ქულა აიღო. ლელომ პასუხად დერეფნიდან კარგი კომბინაცია გაათამაშა და სანდრო ქოიავამ ლელო გაიტანა. ხელაძემ გარდასახა. არწივები თამაშში 58-ე წუთზე, ლამაზი ლელოთი დაბრუნდა. ფორვარდების რამდენიმე დარტყმის შემდეგ, მარვინ ფრედერიქსმა შებრუნებული პასით სივრცეში ჯაბულანი მკულვანი შეიყვანა, რომელმაც ხაზი სუფთად გაჭრა, ბოლო მცველს კარის წინ შემოურბინა და ლელო გაიტანა. სტალმესტერმა გარდასახვით სხვაობა 5 ქულამდე დაიყვანა.

გარკვეული პერიოდით არწივები ინიციატივას დაეუფლნენ და ლელო მათსავე 5-მეტრიანში წნეხში მოაქციეს, მაგრამ სტუმრებმა თავი დაიცვეს, მერე თავად შეუტიეს, შალვა აფციაურმა ხაზი გაჭრა და ბონუსის მომტანი ლელოც გაიტანა. ვაჟა მიქაძემ გარდასახა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 23:35.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ლელოს კვაჭი ნიკა ბაბუნაშვილი გახდა.

### ხარები-ყოჩები 12:20

ბოლნისის ყოჩებმა საქართველოს ჩემპიონ ხარებს რუსთავში 20:12 აჯობა, მიმდინარე სეზონში მეხუთე (6 თამაშში) გამარჯვება მოიპოვა და 22 ქულით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე დაბრუნდა.

ბოლნისელები ლიდერ ლელოს 3 ქულით ჩამორჩებიან. ხარებმა კი, სეზონში მეორე შეხვედრა დათმო, 18 ქულა დარჩა და მე-4 ადგილზეა.

თამაში მასპინძლების შეტევებით დაიწყო და გიორგი ბასილაია ლელოთი ანგარიშსაც გახსნიდა, მაგრამ ფეხით მოკლეზე გადაკიდებული ოვალი ლელოდან უკან გადმოხტა. საპასუხოდ სტუმრებმა საკუთარი 22-იდან კონტრშეტევა წამოიწყეს, გიორგი კვესელაძე ლელოს თავადაც გაიტანდა, მაგრამ ეს პატივი სოსო მათიაშვილს გადაულოცა. ლაშა მალაღურაძემ გარდასახა, რასაც მალე 38 მეტრიდან არეკნი წაამატა.

რუსთაველებს შეტევაში თამაში არ გამოსდიოდათ, ყოჩებმა კი გამოცდილი უკანახაზელების ხარჯზე 31-ე წუთზე მორიგი ლელო გაიტანა – კვესელაძის ოფლოუდის შემდეგ ხაზი მათიაშვილმა გაჭრა და ბურთი კოტე მარჯანიშვილს გააყოლა; ხარებმა მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს შეტევაში ბურთის შენარჩუნება, ალექსი ზაზაძემ ხაზი კარის წინ გაჭრა და თავისივე ლელო გარდასახა – 7:15.



მეორე ტაიმის ნახევარი უქულოდ მიილია, მერე მასპინძლები კაცნაკლულები დარჩნენ და ყოჩებმა რიცხობრივი უპირატესობით ისარგებლეს, სერგი ჩხაიძემ ბურთი აიტაცა და ლელომდე 65 მეტრი ირბინა.

მატჩის მიწურულს პაატა ბურჭულაძემ გაჭრა ხაზი და თამაში გაამწვავა, იერიში მარჯვენა ფრთაზე გაიშალა და ბაქარ ზედგინიძემ ლელო გაიტანა, მაგრამ გარდასახვა მიზანს ასცდა და ხარებმა ნუგეშ-ქულის აღებაც ვერ მოახერხა – 12:20.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გიორგი კვესელაძე გახდა.

### ხვამლი-ყაზბეგი 33:29

დასკვნით წუთებში 13 კაცის ამარა დარჩენილმა თბილისის ხვამლმა, სტეფანწმინდის ყაზბეგის გადამწყვეტი იერიში მოიგერია და დაძაბული მატჩში 33:29 გაიმარჯვა.

საწყის ორ ტურში განცდილი მარცხის შემდეგ, მუხიანელებმა მიჯრით მეოთხე თამაში მოიგეს, 19 ქულა დააგროვეს და სატურნირო ცხრილში მდგომარეობაც გვარიანად გამოიკეთეს.

გუნდებმა თამაში აქტიურად დაიწყეს განსაკუთრებით მონდომებულები კვაჭები – საბა კურტანიძე და გელა მახარაშვილი იყვნენ. 24-ე წუთამდე მათ უკვე ორ-ორი ლელო ჰქონდათ გატანილი. კიდევ ერთი ლელო გიორგი კურტანიძემ გაიტანა, ხოლო თითო ჯარიმა ცინცაძემ და ნიკოლაიშვილმა გაცვალეს. ხვალმა ტაიმი 20:15 მოიგო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ხვამლის მეორეხაზელმა ლუკა გელაშვილმა წითელი ბარათი და მასპინძლები კაცნაკლულები მატჩის ბოლომდე დარჩნენ. მიუხედავად ამისა, ცინცაძემ სამიდან ორი ჯარიმა გაიტანა და 55-ე წუთისთვის მასპინძლები 11 ქულით დააწინაურა.

ყაზბეგმა ტაიმის შუაში ერთი-მეორეს მიყოლებით რამდენიმე შეტევის ორგანიზება შეძლო და გიორგი შუკაკიძემ ლელოთი სტუმრები თამაშში დააბრუნა, ძავით მოძღვრიშვილმა კი გარდასახა. 71-ე წუთზე ხვამლმა ჯარიმით უპირატესობის გაზრდის შანსი ხელიდან გაუშვა, მაგრამ თამაში რომ განახლდა, ფეხით გადაკიდებულ ბურთზე მცველებმა ვერ ითამაშეს, სამაგიეროდ ლისალა ნასეგემ აიტაცა და ლელო გაიტანა, ბესიკ თაყნიაშვილმა კი გარდასახა.

ყაზბეგი თამაშში მეორედ 76-ე წუთზე დაბრუნდა. ნასეგემ ყვითელი ბარათი მიიღო და ხვამლი მოედანზე 13 კაცის ამარა დარჩა, რამდენიმე წამში კი ვაჟა მაისურაძემ ლელო გაიტანა და მოძღვრიშვილმა გარდასახა. გამარჯვების ლელოს გასატანად სტეფანწმინდელები ბოლომდე იბრძოდნენ, მაგრამ ხვამლმა შეძლო თავის დაცვა და უმნიშვნელოვანესი გამარჯვების მოპოვება – 33:29.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ხვამლელთა ბურჯი ჰამლეტ დვალი გახდა.

### ბათუმი-აია 13:20

ქუთაისის აიამ ბათუმს მისსავე სტადიონზე 20:13 სძლია და მიმდინარე სეზონში ზედიზედ მესამე მარცხი აგემა.

ზღვისპირელები კი ბათუმში მეორე ქუთაისურ კლუბთან დამარცხდნენ, ამჯერადაც აიღეს ნუგეშ-ქულა და ჯამში 16 ქულით მე-5 პოზიციაზე არიან. სამი მოგება და 16 ქულა აქვს აიასაც და პირადი გამარჯვების ხარჯზე მე-4 ადგილზეა.

„ბათუმი არენაზე“ შეხვედრა სტუმართა შეტევებით დაიწყო და მე-6 წუთზე გიორგი ბაბუნაშვილმა ჯარიმით ანგარიში გახსნა. ამ ეპიზოდში ყვითელი ბარათი [illegible] ჰენდრიქსი და რიცხობრივ უპირატესობაში აიამ ლელოც გაიტანა – ამირან შვანგირაძემ [illegible] ცენტრის სიახლოვეს ჩაჭრა, ირბინა და ძელებსშუა შეფრინდა. ბაბუნაშვილმა კი, გარდასახა.

მასპინძლებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა, მე-18 წუთზე მოლით შეუტიეს და მატეუ სეკელემ ლელო, ბუბა ნოზაძემ გარდასახვა გაქვითა. ტაიმის ბოლოს აიამ შეძლო ღირსეული პასუხის გაცემა, ამჯერად მოლი თავად დააყენა და ჯიუტა მბიაუ მბატირერენგას ლელო ბაბუნაშვილმა გარდასახა – 7:17.

მეორე ტაიმი პირველზე უფრო მძიმე გამოდგა. ბუბა ნოზაძემ ჯარიმით ჩამორჩენა 48-ე წუთზე შეამცირა. ბათუმმა მორიგი ქულების აღება მხოლოდ 77-ე წუთზე მოახერხა, ამჯერად ჯარიმა მამუკა ნინიძემ გაიტანა, მაგრამ იქვე მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა გიორგი ბაბუნაშვილმა არეკნით უპასუხა და აიას მოაგებინა.

### აკადემია-არესი 12:54

ქუთაისის არესმა სტუმრად ზედიზედ მეორე თამაში მოიგო. ამჯერად თბილისში, „რაგბი პლატოზე“ უიმედო აუტსაიდერი აკადემია 54:12 დაამარცხა.

სტუმრებმა ჯამში 8 ლელო გაიტანეს და ბონუსიც აიღეს. პირველ ტაიმში ნგლენ თაკაუტინმა და გიორგი თევდორაძემ ორ-ორი ლელო გაიფორმეს. თევდორაძემ ყველა გარდასახვა ზუსტად შეასრულა – 0:28.

მეორე ტაიმში თაკაუტინმა მესამე ლელოც გაიტანა, ლაშა ხურცილავამ, ლევან კუჭავამ და ბონდო აბაშიძემ კი თითო მიითვალეს. აკადემიელთაგან ლელოები გუგა ჯინჯოლავამ და ლადო ეფხოშვილმა გაიტანეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გიორგი თევდორაძე გახდა.

### სატურნირო მდგომარეობა:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 6 | 6 | 0 | 0 | 166-117 | 25 |
| 2. ყოჩები | 6 | 5 | 0 | 1 | 140-87 | 22 |
| 3. ხვამლი | 6 | 4 | 0 | 2 | 216-97 | 19 |
| 4. ხარები | 6 | 4 | 0 | 2 | 171-85 | 18 |
| 5. აია | 6 | 3 | 0 | 3 | 162-113 | 16 |
| 6. ბათუმი | 6 | 3 | 0 | 3 | 180-108 | 16 |
| 7. არესი | 6 | 2 | 0 | 4 | 159-141 | 11 |
| 8. ყაზბეგი | 6 | 2 | 0 | 4 | 150-136 | 11 |
| 9. არწივები | 6 | 1 | 0 | 5 | 145-211 | 5 |
| 10. აკადემია | 6 | 0 | 0 | 6 | 40-426 | 0 |

# ყველაფერი შეცვლილია: ფორმატი, შემადგენლობა, ადგილი




2023 წლის რაგბი ევროპის სუპერთასის ახალი სეზონი 4 ნოემბერს დაიწყება და საქმეში პირველი ქართული ფრენჩაიზი, შავი ლომი ჩაებმება. ლევან მაისაშვილის გუნდს პირველი ჯახი ესპანურ კასტილია ლეონ იბერიანსთან ელის. შემდეგი გაჩერება კი, ისრაელი უნდა ყოფილიყო, სადაც თელ-ავივი ჰითთან 18-ში უნდა ითამაშოს. თუმცა, ამ მატჩის ბედი ჯერაც გაურკვეველია.

მიზეზი ისრაელსა და პალესტინას შორის კონფლიქტია. სადღეისოდ, ისრაელში, ფაქტობრივად, ყველა სპორტული შეჯიბრი გაჩერებულია.

რაგბი ევროპაში მუშაობენ ვარიანტზე, რომ ეს მატჩი ნეიტრალურ ქვეყანაში შედგეს.

რაგბი ევროპის სუპერთასი, რომლის 2-გზის გამარჯვებულიც სწორედ შავი ლომია, 2023 წელს ახალი ფორმატით ჩატარდება. ამჯერად ჯგუფები არა რეგიონული, არამედ რეიტინგული პრინციპით დაკომპლექტდა.

შედეგად, ა ჯგუფში შავი ლომი, კასტილია ლეონ იბერიანსი (ესპანეთი), ლუზიტანოსი (პორტუგალია) და თელ-ავივ ჰითი (ისრაელი) მოხვდნენ, ხოლო ბ-ში – რომანიან ვულვსი (პორტუგალია), ბრუსელს დევილსი (ბელგია), დელტა (ნიდერლანდები) და ბოჰემია რაგბი უორიორსი (ჩეხეთი).

ჯგუფურ ეტაპზე გუნდები სამ მატჩს ჩაატარებენ, რომელთა შედეგებითაც ნახევარფინალში ა ჯგუფის 3 საუკეთესო და ბ ჯგუფის გამარჯვებული გავა.

2023 წლის სუპერთასი ნოემბერ-დეკემბერშია დაგეგმილი, ფინალი კი 16 ან 17 დეკემბერს ჩატარდება.

შავი ლომი რაგბი ევროპის სუპერთასზე 4 ნოემბრიდან ჩაერთვება, საწვრთნელი შეკრება კი, 28 ოქტომბერიდან დაიწყება.

გუნდის შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებებია. განაცხადში აღარ არიან უკანახაზელები – ალექსანდრე თოდუა, ლაშა ხმალაძე და გიორგი ბაბუნაშვილი; რუსული პენზიდან საქართველოში დაბრუნდა მესამეხაზელი ილია სპანდერაშვილი; გუნდს ასევე დაემატნენ გამოცდილი შუამარბი გიორგი კვესელაძე; შვიდკაცა რაგბის წევრი, გარემარბი გიორგი ჯობავა; 20 წლამდე ნაკრების უკანახაზელები – ლუკა ცირეკიძე და შალვა აფციაური.

შავი ლომის მთავარი მწვრთნელი რაგბი ევროპის სუპერ თასზეც და შემდეგაც, „ჩელენჯ ქაფზე“, ლევან მაისაშვილი იქნება.

**შავი ლომის შემადგენლობა ასეთია:**

**შერკინება:** დავით აბდუშელიშვილი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, შალვა მამუკაშვილი, თენგიზ ზამთარაძე, გიორგი ჭყოიძე, ბექა მამრიკიშვილი, ნიკა პატარაია, გიორგი ჩხარტიშვილი, ბაჩუკი ჭუმბაძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, გიორგი კერვალიშვილი, დემურ ეფრემიძე, გრიგოლ ქერდიყოშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე, სანდრო მამამთავრიშვილი, ლუკა ივანიშვილი, ილია სპანდერაშვილი.

**ხაზი:** თენგიზ პერანიძე, გიორგი მარგალიტაძე, ლუკა მატკავა, მერაბ შარიქაძე, თორნიკე კახოიძე, დემურ თაფლაძე, ოთარ ლაშხი, აკაკი ტაბუცაძე, მირიან მოდებაძე, გიორგი ჯობავა, გიორგი კვესელაძე, ლუკა ცირეკიძე, შალვა აფციაური.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ძმა გივი ლეჟავა, შვილი ნინო ლემონჯავა, სიძე ზურაბ მურჯიკნელი, შვილიშვილები შოთა და ლაშა მურჯიკნელები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**იზოლდა ლეჟავა**

პანაშვიდი: 24 და 25 ოქტომბერს, 17 საათზე;

გამოსვენება: 26 ოქტომბერს, 14 საათზე, მეტრო ღრმაღელესთან მდებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. მაკლერის გასამრჯელო ბირჟაზე; 2. ებრაელთა რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული; 3. შემოსავლიანი თანამდებობა, თბილი ადგილი; 4. საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული; 5. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 8. მაღალი მორალური, ადამიანური ღირებულება; 9. ქართველი მხედართმთავარი, მარშალი; 12. მწვერვალ „ჯომოლუნგმას“ მეორე სახელწოდება; 13. ქალაქი იმერეთში; 16. მოკლე, მცირე ამპლიტუდის რხევები; 17. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 19. ჩეხეთის ფეხბურთელთა გუნდი; 20. უბანი თბილისში.

**თარაზულად:** 6. უსაქმური, უქნარა ადამიანი; 7. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 8. სანთლიდან ჩამონადენი წვეთი; 10. დამუხლული, ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 13. აფრიკული შხამიანი ბუზი; 14. ჩეჩენ-ინგუშთა საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. სულიერი დაძაბულობით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა; 18. სახელმწიფო ევროპაში; 21. ქართული ოდის აივანი; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 23. უცხოური ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 24. თოკებით სამართავი თეატრალური თოჯინა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰუნდაი; 2. კარე; 3. კონსტანტა; 4. გარდა; 5. ჟენშენი; 8. ხამონი; 9. პარანგონი; 12. კაბურა; 14. არმაზი; 16. ატაშე.

**თარაზულად:** 1. ჰინდიკუში; 6. ქობულაძე; 7. ნუსხური; 9. პლისკა; 10. შალე; 11. პორტერი; 13. აბატი; 15. ლაზიკა; 17. ბაირამი; 18. შუამთა; 19. აიაზმა; 20. შეგირდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. თურნავა; 2. ვერსაჩე; 3. დისკუსია; 4. მულინე; 5. ბაიყუში; 8. პირუეტი; 9. სელადონი; 12. ტრაპეცია; 13. მორავია; 16. ბასტილია; 17. თურინჯი; 19. პერესი; 20. ფერაძე.

**თარაზულად:** 6. გუტიერეში; 7. შუცმანი; 8. პოკერი; 10. ბაიკალი; 11. ბუკე; 14. ოპონენტი; 15. სანთიობო; 18. დალესი; 21. ემისარი; 22. მენჯი; 23. იშხანი; 24. ჯამბაზები.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

25 ოქტომბერი

აშშ დოლარი — 2.6997
ევრო — 2.8703
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3001
100 რუსული რუბლი — 2.8827

ამინდის პროგნოზი 25 ოქტომბრისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## მამარდაშვილის ვალენსიამ კადისი დაამარცხა

ვალენსიამ საკუთარ მოედანზე კადისი მიიღო და დაამარცხა 2:0. მამარდაშვილმა კარგი შეხვედრა ჩაატარა და კარის მშრალად შენახვა მოახერხა.

გარდა ამისა, მან თავისი გუნდი რამდენჯერმე აშკარა გოლისგან იხსნა. მატჩის შემდეგ ვალენსიას მთავარმა მწვრთნელმა, რუბენ ბარახამ მამარდაშვილი შეაქო და თქვა, რომ ის ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა.

## კილიან მბაპე: „ჩემპიონთა ლიგაში შეცდომები აღარ უნდა დავუშვათ“



პსჟ-ს ლიდერმა კილიან მბაპემ განაცხადა, რომ მის გუნდს ჩემპიონთა ლიგაში შეცდომების დაშვების უფლება აღარ აქვს და მათ დარჩენილ მატჩებში საუკეთესო თამაში უნდა აჩვენონ. თუ ეს ასე არ მოხდება, მაშინ მბაპეს აზრით, შესაძლოა, მათ ცუდი შედეგი მიიღონ:

– ჩვენ წავაგეთ ნიუკასლთან და კარგად გვესმის, რომ შეცდომები აღარ უნდა გავიმეოროთ. წლებია, ჩვენს გულშემატკივარს სურს, რომ ჩემპიონთა ლიგა მოვიგოთ და ამისთვის ყველაფერს გავიღებთ.

## ალექსის მაკალისტერი: „ლივერპულში ძალიან ბედნიერი ვარ“

ლივერპულის არგენტინელმა ნახევარმცველმა ალექსის მაკალისტერმა თქვა, რომ ის არ ნანობს ლივერპულში გადასვლას და გუნდში თავს კარგად გრძნობს, მიუხედავად იმისა, რომ ზეწოლა ლივერპულში გაცილებით მეტია, ვიდრე ეს მის წინა კლუბ ბრაიტონში იყო:

– ლივერპული შესანიშნავი ადგილია და აქ ყველა თავისი საქმის პროფესიონალია. როდესაც მოედანზე ვარ, თავს მშვენივრად ვგრძნობ. ჩვენ უმაღლესი მიზნები გვაქვს და ყველა ტურნირში მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძოლებთ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ლევან კოღუაშვილმა ახალი ფილმის გადაღება დაიწყო



რეჟისორმა ლევან კოღუაშვილმა ახალი ფილმის გადაღება დაიწყო. სცენარზე მან გიორგი კეკელიძესთან ერთად იმუშავა და მას „გურია“ ეწოდება. სცენარი „გურული დღიურების“ მოტივებს დაეფუძნა და შემდეგ უკვე დამოუკიდებლად განვითარდა.

ფილმი 7 ქვეყნის – საქართველოს, შვეიცარიის, ნორვეგიის, თურქეთის, ბულგარეთის, ლუქსემბურგის, ჰოლანდიის – კოპროდუქციაა. პროექტმა უდიდესი ნორვეგიული კინოფონდის კონკურსში გამარჯვება მოიპოვა. ასევე რჩეულად დასახელდა „ევრიმაჟის“ ევროკავშირის კინოფონდის კონკურსიც და კანის ფესტივალის ინდუსტრიული სექციისთვისაც შეირჩა.

## ლანა ღოღობერიძე 95 წლის გახდა



რეჟისორი ლანა ღოღობერიძე 95 წლის გახდა. დაბადების დღე ხელოვანს მისმა ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა და რიგითმა თაყვანისმცემლებმა მიულოცეს.

საქართველოს კინოაკადემიის წევრი, საქართველოს სახალხო არტისტი, უამრავი ჯილდოსა და პრიზის მფლობელი, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს ყოფილი ელჩი ევროსაბჭოში, უამრავი წიგნის მთარგმნელი, სცენარისტი, მხატვარი და გამოჩენილი კინორეჟისორი – ეს ლანა ღოღობერიძის 95-წლიანი ცხოვრების მცირე ანოტაციაა.

გამორჩეულმა შემოქმედმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ინგლისური ენის მიმართულებით ისწავლა. იყო ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი. მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. ავტორია მონოგრაფიისა უოლტ უიტმენის შესახებ. თარგმნა უოლტ უიტმენის, რაბინდრანათ თაგორის, ედგარ ალან პოს, პოლ ვერლენის, ანა ახმატოვასა და ბორის პასტერნაკის ლექსები.

კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, დამდგმელ რეჟისორად. ხელმძღვანელობდა რუსთაველის თეატრის რეჟისორთა სტუდიას. ასრულებდა კინოსტუდია „დროს“ სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობას. სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო სახელოსნოს. იყო კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორი.

გარდა მხატვრული ფილმებისა, მან გადაიღო დოკუმენტური ფილმები: „გელათი“, „თბილისი 1.500 წლისაა“, „ქართული არქიტექტურა“, „უკანასკნელი წერილი შვილებს“.

95 წლის რეჟისორს მიღებული აქვს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. არის საქართველოსა და საფრანგეთის ღირსების ორდენების კავალერი, საქართველოსა და სსრკ-ის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

გამოცემულია ლანა ღოღობერიძის ნამუშევრების კატალოგი „განვლილი გზა“.

რეჟისორმა 3 პერსონალური გამოფენა მოაწყო თბილისსა და სტრასბურგში.

ლანა ღოღობერიძე გახლდათ კინემატოგრაფისტ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარე ევროსაბჭოში, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ევროსაბჭოში, საქართველოს დესპანი საფრანგეთში და მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## თინათინ ყაჯრიშვილმა გრან-პრი მოიგო



ლუქსემბურგში გამართულ რიგით მე-16 საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზი – გრან-პრი ქართველი რეჟისორის თინათიან ყაჯრიშვილის ფილმს „მოქალაქე წმინდანი“ გადაეცა.

ფილმი საქართველომ „ოსკარზე“ წარადგინა. ის ქართველ მაყურებელს ჯერ არ უნახავს.

## ფულის თხოვნა ნიკოლოზ წულუკიძის სახელით



თეატრმცოდნე და ტელეწამყვანი ნიკოლოზ წულუკიძე აცხადებს, რომ მისი სახელით კომპანიებში ქალმა ჩამოიარა, რომელიც ფულს ითხოვდა:

– ჩემი სახელით კომპანიებში ჩამოიარა ქალმა, რომელიც ითხოვდა ფულს.

ძალიან გთხოვთ, თუ ვინმესთან გამოჩნდა ეს ქალბატონი, იქნებ დაუყოვნებლივ შემატყობინოთ.

პ.ს. მაქვს ამ ქალბატონის ვიდეო და არ ვიცი, როგორ მოვიქცე?

## ნატო გელაშვილი: „ვარსკვლავი ჩემს მსმენელს გეკუთვნით“



28 ოქტომბერს მომღერალსა და კომპოზიტორს ნატო გელაშვილს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ვარსკვლავს გაუხსნიან. ვარსკვლავის გახსნამდე კი მისი შემოქმედებითი საღამო გაიმართება. კონცერტში სახელწოდებით „სტუმრად ნატოსთან“ მონაწილეობას მიიღებენ მისი შვილები ლუკა და გიორგი ჭოხონელიძეები და მეგობრები. საღამოზე მსმენელისთვის ახალი და ძველი სიმღერები აჟღერდება.

**ნატო გელაშვილი:**

– გელით... ჩემი პატარა ოჯახით და ჩემი დიდი სამეგობროთი. სულ ცოტა დრო რჩება. დროზე უფრო ცოტა კი ბილეთები. იჩქარეთ, ვისაც მართლა გულით გინდათ ჩვენთან ერთად ყოფნა.

ერთი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, საოცარი ენერგეტიკისა და სიყვარულის საღამო გელოდებათ, მოულოდნელობებით სავსე. რაც მთავარია, თქვენთან შესახვედრად ემზადება ჩემი ლექსების კრებულიც „ჩამჭიდეთ ხელები“. ბედნიერი ვარ, რომ კიდევ ერთხელ მომეცა საშუალება, ჩემს ერთგულ მსმენელს მოგეფეროთ და ახალი სიმღერა დაგიტოვოთ საჩუქრად.

ვარსკვლავი ჩემს მსმენელს გეკუთვნით და გჩუქნით. თქვენ მხოლოდ სიყვარული მაჩუქეთ, რასაც აქამდე მჩუქნიდით. ჩემთვის ეგ სრულიად საკმარისია.

## თინათინ მაღალაშვილის კოლექციას ბრიუსელში გამორჩეული უწოდეს




ქართველმა დიზაინერმა თინათინ მაღალაშვილმა ბრიუსელის მოდის კვირეულში მიიღო მონაწილეობა, სადაც გაზაფხულ-ზაფხულის უახლესი კოლექცია წარადგინა.

მოდის მოყვარულებს საკუთარი ნამუშევრები მან ნინო ბაშარულის სიმღერაზე „ნიავო“ შესთავაზა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

**თინათიან მაღალაშვილი:**

– არ ვიცი, რა მაგია აქვს მის ნამღერს. თბილისში მის „ნიავოზე“ რომ კოლექცია ვაჩვენე და დარბაზში ხალხი ცრემლებს ვერ იკავებდა, ვიფიქრე, ქართულია და ქართველზე ემოციურად იმოქმედა მელოდიამ, საოცარმა სიტყვებმა, მისმა ხმამ.

მაგრამ ბრიუსელში მისი სიმღერის ფონზე ჩვენებას რომ ადგილობრივები ცრემლმორეულები ალიქვამდნენ, ეს უკვე მისი ხმის მაგიური ზემოქმედების ბრალია. კიდევ ერთხელ ვუხდი მადლობას, რომ მანდო თავისი სიმღერა და უფლება მომცა გამეზიარებინა სხვებისთვის საქართველო საზღვრებს გარეთ.

ძალიან ამაყი ვიყავი და ვარ, რომ ბრიუსელის მოდის კვირეულის ორგანიზატორებისა და სტუმრებისგან მივიღე შეფასება „გამორჩეული კოლექცია“.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რომის იმპერატორთა ტიტული; 2. მდინარე თბილისში; 3. ისტორიული ციხე-ქალაქი თეთრი წყაროს რაიონში; 4. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 5. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 8. ოპერა „ქეთო და კოტე“-ს მუსიკის ავტორი; 9. სასულიერო პირთა უმაღლესი წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 12. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი; 14. მდინარე სვანეთში; 16. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად:** 1. ცნობილი ქართველი მეღვინე; 6. პირველი გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის სახელწოდება; 7. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 9. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 10. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება; 11. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 13. მომღერალი პოეტი-მუსიკოსი შუა-აზიაში; 15. პატარა მოთხრობა; 17. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 19. ამერიკული ავია-კოსმოსური კონცერნი; 20. ნიდერლანდური ელექტროტექნიკური კომპანია.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

